# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი-ორშაბათი, 28-30 ნოემბერი. 2020 წ. №167-168 (9093-9094) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


COVID19

# არ შეშინდეთ, ქართველებო, თქვენ ღმერთს უყვარხართ!

## რა დახმარება გაიცემა მოქალაქეებსა და ბიზნესზე? ③



## გიორგი გახარიას უკვირს: რა სხვაობაა, ②

## კორწილს, ქელეხს ან აქციას შორის?!

იდეა საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის

## „ასოცირებული ⑧ წევრის სტატუსი“

## გეგმიური ოპერაციების დაყოვნება ბიუჯეტს არ უკავშირდება ④

## რუსული სცენარი ბოლომდე არ დასრულებულა – დარჩა ფაშინიანის გადაყენება ⑤



ლევან დავითაშვილი:

## პურზე ფასი ② არ გაიზრდება!



ლევან თაქთაქიშვილი:

## ⑤ არ მეგონა, ასე თუ გაწირავდნენ რუსები სომხებს

## თურქეთის საჩუქარი საქართველოს თავდაცვის ძალებს!..



სამხედრო-საინჟინრო და ლოჯისტიკის მიმართულებების განვითარების მიზნით, საქართველოს თავდაცვის ძალებს 12 ერთეული მრავალფუნქციური, დაჯავშნული ექსკავატორ-დამტვირთავი (Backhoe loader) და 35 ავტობუსი (BMC-c vfhrbc Neocity-ის ტიპის მოდელი) შეემატა. ტექნიკის შესყიდვა თავდაცვის სფეროში საქართველოსა და თურქეთს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა.

მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ოფიციალური გადაცემის ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფატმა ჯერენ იაზგანი დაესწრნენ. მათ მეოთხე მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე გამოფენილი ტექნიკა დაათვალიერეს. ახალი ტექნიკა საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში გადანაწილდება და საინჟინრო-ლოჯისტიკური დავალებების შესრულებას უფრო ეფექტურს გახდის.




⑫

## საბავშვო ევროვიზიაზე ქართველი კონკურსანტისთვის ხმის მიცემა იწყება



# გიორგი გახარიას უკვირს: რა სხვაობაა, ქორწილს, ქელეხს ან აქციას შორის?!



**ქვეყანაში კორონა-ვირუსის კატასტროფული ზრდის გამო ხელისუფლებამ კონკრეტული შეზღუდვების გადაწყვეტილება მიიღო და ფაქტობრივად, ხელახალი მკაცრი შეზღუდვები, ანუ ლოკდაუნი“ გამოაცხადდა. 2 თვის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას კონკრეტული შეზღუდვების ფონზე ცხოვრება მოუწევს. შესაბამსიად, საინტერესოა, შეუშლის თუ არა ხსენებული აკრძალვები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას ხელს, რომელიც 31 ოქტომბრიდან საკმაოდ მძიმედ ვითარდება.**

**ხელისუფლება კორონავირუსის მასშტაბის ზრდას და მის სწრაფ დინამიკას ოპოზიციის მიერ გამართულ აქციებს უკავშირებს, ოპოზიცია კი ხელისუფლებას უნიათობასა და უმოქმედობაში სდებს ბრალს. თუმცა არჩევნების გადადება ოპოზიციის არც ერთ ლიდერს არ მოუთხოვია. პირიქით, ყველა მათგანი იმით მანიპულირებდა, რომ ხელისუფლება პანდემიას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა.**

ჯანდაცვის ექსპერტების ნაწილს კი მიაჩნია, რომ სწორედ პოლიტიკური ზეწოლის და შანტაჟის ბრალია, რის გამოც ხელისუფლებამ ლიბერალური მიდგომების პარალელურად და პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად ეს გადაწყვეტილებები აქამდე არ მიიღო.

„ლელოს“ ოფისში გამართულ შეხვედრაზე, დიდი ალბათობით, გადაწყდა, რომ დაგეგმილი აქციები, რომელიც მე-10 მოწვევის პარლამენტის შეკრებისას უნდა გამართულიყო, გაუქმდება. სავარაუდოდ, ოპოზიცია მხოლოდ მცირედი აქცია-პერფორმანსებით შემოიფარგლება. თუმცა მის ჩატარებას როგორი და რა სახით მოახერხებენ, ჯერჯერობით უცნობია.

პრემიერი **გიორგი გახარია** ამბობს, რომ საქართველოსნაირი ქვეყნისთვის არაბუნებრივად დიდია ვირუსის გავრცელება, რაც განპირობებულია, „წესების დაცის გარეშე დიდი რაოდენობით ადამიანების ერთად თავმოყრით“.

**„საარჩევნო კამპანია საკმაოდ მაღალ მობილობას ითვალისწინებს, ეს არის ის, რამაც დღეს მიგვიყვანა, საქართველოსთვის არაბუნებრივ ციფრებამდე“.**

პრემიერ-მინისტრმა კითხვაზე, როგორ შეიკრიბებიან დეპუტატები და იქნება თუ არა აქციები, რომელიც დაანონსებულია, გიორგი გახარიამ უპასუხა, რომ დეპუტატებს შეკრების პრობლემა არ ექნებათ, ხოლო გამოხატვის თავისუფლებას არავინ შეზღუდავს.

**„დეპუტატები ჩვეულებრივად, ყველანაირი პრობლემის გარეშე შეიკრიბებიან, არანაირი შეზღუდვა გადაადგილებებზე არ არის, ზოგი კერძო მანქანით, ზოგი ველოსიპედით, არ მგონია, რომ ეს პრობლემა იყოს დეპუტატების შეკრებისთვის. რაც შეეხება აქციებს, საქართველო და მისი მთავრობა, გამოხატვის თავისუფლებას არ შეზღუდავს, ეს არის პირდაპირი პასუხისმგებლობის საკითხი თითოეული იმ პოლიტიკოსის, რომელსაც დღეს რატომღაც წყინს, როცა შედარება ხდება, სხვადასხვა მიზეზის გამო ყრილობების დაუშვებლობაზე, წესების დაცვის გამო. არ ვიცი, რა სხვაობაა, ქორწილს, ქელეხს ან აქციას შორის?! — გაფრთხილების თვალსაზრისით — არანაირი, ან მაგალითად, წინასაარჩევნოდ 600-კაციანი სუფრების — არანაირი სხვაობა არ არის. სამწუხაროდ, ამ ეპიდემიის რისკი ისაა, რომ სწრაფად და მარტივად ვრცელდება და მარტივი წესების დაცვაა გამოსავალი. არავინ არავის უკრძალავს გამოხატვის თავისუფლებას, დისტანცია დავიცვათ და ისე გამოვხატოთ“,** — თქვა პრემიერ-მინისტრმა.

**„დანაშაულისგან გაქცევა და ოპონენტებზე გადაბრლების მცდელობა“,** — ასე აფასებენ მთავრობის განცხადებას ოპოზიციის წევრები. ხელისუფლების ოპონენტები ამბობენ, რომ მმართველი პარტია საზოგადოების პროტესტის შეჩერებას ოპოზიციის დისკრედიტაციით ცდილობს, ხოლო საკუთარი უმოქმედობის გადასაფარად დანაშაულს სხვებს აბრალებს. ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ხელისუფლება კორონავირუსის მეორე ტალღისთვის არ მოემზადა და ახლა გადაბრალებას მათზე ცდილობს...

იმუნოლოგ-ალერგოლოგი **ბიძინა კულუმბეგოვი** აცხადებს, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა პოლიტიკური შანტაჟის მსხვერპლი გახდა, რამაც ამ სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანა. კულუმბეგოვი არჩევნებს არ გულისხმობს და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს. მისი აზრით, დაუშვებელია ადამიანების სიცოცხლით თამაში და იმის დალოდება, ეპიდემია კიდევ უფრო დიდ მასშტაბს სადამდე მიაღწევს.

**„პოლიტიკური გადაწყვეტილებების და სიტუაციის მძევლები გავხდით. გავლენა არჩევნებმა კი არა, შემდეგმა პროცესებმა იქონია. ძალიან კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ და თუკი არსებულ ვითარებას შევინარჩუნებდით, დეკემბრის ბოლოს 7 და 8 ათას დადასტურებულ შემთხვევას მივიღებდით. ეს კი ორზე გადამრავლებით დღეში 25 ათასამდე შედეგი გამოდის. დარწმუნებული ვარ, ეს რომ არ გაკეთებულიყო, უდიდეს საყვედურს მიიღებდნენ მოსახლეობისგან ეპიდემიოლოგები და ხელისუფლება.**

**სხვა გამოსავალი არ იყო, რადგანაც შიდა საზოგადოებრივი გავრცელების მასშტაბი დიდია, ამიტომაც ყველა ვთანხმდებით, რომ მხოლოდ ასეთი მშრალი შეზღუდვებით ვირუსის შეკავებას ვერ შევძლებდით. მინიმუმ 6 კვირა უნდა იყოს ასეთი შეზღუდვა. ახლა ეს 3 კვირა ცოტა უნდა გავიჭირვოთ. ჩვენს ტრადიციულ დღესასწაულებს ღირსეულად შევხვდეთ. 2 კვირის მანძილზე შემთხვევის შემცირებაც არ გვექნება. ამ „ლოკდაუნის“ შედეგს 2-3 კვირაში ვნახავთ. უნდა ვთქვათ, რომ უკვე პიკში ვართ. ჯანდაცვის სისტემა ძლივს ვაი-ვაგლახით გამკლავებას ახერხებს, მაგრამ საბოლოო ჯამში, თუ ყველამ წესები არ დავიცავით, ტრაგიკულ სიტუაციას მივიღებთ“,** — ამბობს ბიძინა კულუმბეგოვი.

ჯანდაცვის ექსპერტი **სერგი ჩიხლაძე** კი ამბობს, რომ მსგავსი სახის შეზღუდვებს ელოდებოდნენ, თუმცა ამ დონის რომ იქნებოდა, ეს ვერ წარმოედგინათ. ჩიხლაძე ამბობს, რომ ბიზნესსექტორი უკმაყოფილოა და ეს გადაწყვეტილება ვისთან ერთად შეთანხმებით მიიღეს, გაუგებარია.

**გასაგებია, რომ ჯანდაცვის სექტორს უჭირს და ამიტომ ამ „ლოკდაუნის“ პორიბებში გეგმაა საჭირო. ჯანდაცვას როგორ ვაძლიერებთ? შეზღუდვას აზრი აქვს, როდესაც ამ დროში დღიურად ყველაფერი გაწერილი გვაქვს — ბიუჯეტი და პასუხისმგებელი პირები. პარალელურად, ეკონომიკას რას ვუშვრებით? ასევე საუბარია ხალხზე, ვინც დღიურ ლუკმაპურზე მუშაობს, რას ვუშვრებით ამ ხალხს? ჯანდაცვის რესურსი რომ სწორად გამოგვეყენებინა, უფრო მეტ დატვირთვასაც გავუძლებდით. ექიმები და ექთნები რით დადიან ან ივლიან, ვინმემ დათვალა და დაგეგმა? ადამიანს საავადმყოფოში წასვლა რომ მოუნდეს, რით მიდის? ყველაფერ ამას დაგეგმვა უნდოდა“,** — ამბობს ჩიხლაძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი იყოს!

**ყველას და მთელ მსოფლიოს დიდი იმედები გვაქვს ვაქცინის, ვაქცინაცია ძალიან ახლოსაა და ეს არის იმედისმომცემი. როგორც კი ვაქცინა იქნება ავტორიზებული შესაბამისი ორგანიზაციების მიერ, ჩვენ შეგვიძლია ის ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი მოსახლეობისთვის,** — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ გაბუნიამ „ქრონიკაში“ განაცხადა.

მისივე თქმით, ვაქცინა სავარაუდოდ გაზაფხულისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

## სოციალურად დაუცველ მარტოხელა მოხუცებს — ნახევარი მილიონი ლარი!

**სოციალურად დაუცველი მარტოხელა მოხუცების საკვებით უზრუნველყოფისთვის მერია ნახევარ მლნ ლარს გამოყოფს. ამის შესახებ თბილისის მერმა ბრიფინგზე განაცხადა.** მისი თქმით, შესაბამისი გადაწყვეტილება დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა მიიღო.

**„დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა მიიღო ერთსულოვანი გადაწყვტილება — ჩვენ გამოვნახეთ საშუალება და გამოიყოფა ნახევარი მილიონი ლარი იმისთვის, რომ დავეხმაროთ საკვები პროდუქტებით სოციალურად დაუცველ მარტოხელა მოხუცებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“,** — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, პანდემიის პირველი ტალღის დროს ზუსტად ამ მიდგომებით მერია ძალიან ბევრ ოჯახს დაეხმარა.

## პურზე ფასი არ გაიზრდება!

**მოსახლეობას სრული პასუხისმგებლობით ვუცხადებ, რომ პურზე ფასი არ გაიზრდება,** — ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

**„არის ობიექტური გარემოებები, რომლის შესაბამისად ქვეყანაში ფქვილის ფასი ძვირდება და შესაბამისად შეიძლება ეს ასახულიყო პურის ფასზე. პური არის განსაკუთრებული სტრატეგიული პროდუქტი. გვესმის, რომ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა არის საკმაოდ მძიმე იმ ეკონომიკური პრობლემიდან გამომდინარე, რასაც იწვევს კორონავირუსი. ამიტომ ჩვენ გვქონდა მუდმივი მუშაობა მწარმოებლებთან, რომლის შედეგადაც, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ხორბლის ფქვილის, ამ შემთხვევაში პირველი ხარისხის ფქვილის სუბსიდირებაზე იმგვარად, რომ ჩვენ შევინარჩუნოთ ის ფასები, რომლებიც პურის გაძვირებას აგვარიდებს თავიდან. პროგრამა მომავალი კვირიდან ამოქმედდება და მინდა მოსახლეობას სრული პაუსხიმგებლობით განვუცხადო, რომ პურზე ფასი არ გაიზრდება“.**

## დევნილებსა და ეკომიგრანტებს გრანტები გადაეცემათ

**დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო განსახლებულ დევნილებსა და ეკომიგრანტებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, სურსათის წარმოებისა და გადამუშავების ხელშეწყობის მიზნით გრანტებს გადასცემს.**

პროგრამის ფარგლებში, სააგენტო იძულებით გადაადგილებულ პირებს მინიტრაქტორებს, მოტობლოკებს, სხვადასხვა სახეობის მრავალწლიან კულტურებს, სურსათის წარმოებისა და გადამუშავებისთვის საჭირო ინვენტარს შეუძენს.

საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მსურველები განაცხადის გაკეთებას 27 ნოემბრიდან — 28 დეკემბრის ჩათვლით შეძლებენ.

განაცხადების მიღება დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და მის ტერიტორიულ სამმართველოებში შემდეგ მისამართებზე მიმდინარეობს:

**თბილისი**, თამარაშვილის ქ.№15ა;
**გორი**, სამების ქ. №1;
**რუსთავი**, ცურტაველის ქ. №5ა;
**ქუთაისი**, ი. აბაშიძის გამზ. №27;
**ზუგდიდი**, დ. აღმაშენებლის ქ. №106.

პროგრამის მთავარ მიზანს, სახელმწიფოს მიერ საცხოვრებლით უზრუნველყოფილი დევნილებისა და ეკომიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათთვის შემოსავლის წყაროს გაჩენა წარმოადგენს.

## ბათუმის საზღვაო აკადემია მსოფლიო საზღვაო უნივერსიტეტთან ითანამშრომლებს

**ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და მსოფლიო საზღვაო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომელიც ონლაინ-ფორმატში გაიმართა. მემორანდუმი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინიციატივით და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში (IMO) საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თამარ ბერუჩაშვილის მხარდაჭერით გაფორმდა.**

ურთიერთგაგების მემორანდუმი მიზნად ისახავს საქართველოს საზღვაო განათლების განვითარების შესაძლებლობების გაძლიერებასა და წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.




# არ შეშინდეთ, ქართველებო, თქვენ ღმერთს უყვარხართ!

## რა დახმარება გაიცემა მოქალაქეებსა და ბიზნესზე?

**საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ანტიკრიზისული გეგმის მეოთხე ეტაპის ფარგლებში, მოქალაქეების და კერძო სექტორის მხარდაჭერის ახალი პაკეტი მიიღო.**

**ჯამში, ახალი პაკეტის მთლიანი ბიუჯეტი 1,1 მილიარდ ლარს შეადგენს.**

**ანტიკრიზისული გეგმის მეოთხე ეტაპის ფარგლებში, მოქალაქეების დასახმარებლად გამოყოფილი პროგრამის საერთო ბიუჯეტი 545 მილიონი ლარია, ბენეფიციართა საერთო რაოდენობა კი 500 000-ზე მეტია.**

**მოქალაქეების დახმარების პაკეტი მოიცავს:**

- **კომუნალური ხარჯების სუბსიდირებას** – ოთხი თვის (ნოემბრიდან თებერვლის ჩათვლით) განმავლობაში განხორციელდება კომუნალური ხარჯების სუბსიდირება (200 კვტ/მ3-მდე მოხმარება). ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა – 1 მილიონი ოჯახი. ბიუჯეტი 270 მლნ ლარი;
- **1 200-ლარიანი დახმარება სამსახურდაკარგული პირებისთვის** – ფორმალურ სექტორში დასაქმებული პირები, ვინც დროებით დაკარგავს სამსახურს, 2021 წლის იანვრიდან ექვსი თვის განმავლობაში მიიღებენ 200-ლარიან დახმარებას. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა – 125,000 პირი. ბიუჯეტი – 150 მლნ ლარი;
- **300-ლარიანი ერთჯერადი დახმარება** – გაიცემა 300-ლარიანი ერთჯერადი კომპენსაციები იმ ობიექტებში დასაქმებული პირებისა და ინდ. მეწარმეების სასარგებლოდ, რომელთაც საქმიანობა შეუჩერდებათ დეკემბერსა და იანვარში დაწესებული დამატებითი შეზღუდვების შედეგად. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა – 100 ათასი. ბიუჯეტი – 30 მლნ ლარი;
- **600-ლარიანი დახმარება** – 65-დან 100 ათას სოციალურ ქულამდე მყოფი ოჯახები იანვრიდან, თვეში საშუალოდ 100 ლარის ოდენობით (ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით) დახმარებას მიიღებენ ექვსი თვის განმავლობაში. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა 72 ათასამდე ოჯახი (220 ათასამდე პირი), ბიუჯეტი – 55 მლნ ლარი;
- **600-ლარიანი დახმარება** – 0-დან 100 ათას ქულამდე მყოფი ოჯახებისთვის, რომლებსაც ჰყავთ სამი ან მეტი 16 წლამდე ბავშვი, ექვსი თვის განმავლობაში მიიღებენ თვეში 100 ლარს (იანვრიდან ივნისის ჩათვლით) – 24 ათასი ოჯახი. ბიუჯეტი – 15 მლნ ლარი;
- **18 წლამდე შშმ და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისთვის გაიცემა 600-ლარიანი დახმარება** – თვეში 100 ლარი, ექვსი თვის განმავლობაში. ბენეფიციარების რაოდენობა – 43 ათასი პირი. ბიუჯეტი – 27 მლნ ლარი;

ამასთან, საბანკო სესხების გადავადების შესაძლებლობა ექნებათ იმ ობიექტებში დასაქმებულ პირებს, რომელთა საქმიანობა იზღუდება დეკემბერი-იანვრის განმავლობაში.

ანტიკრიზისული გეგმის მეოთხე ეტაპის ფარგლებში, ბიზნესის მხარდაჭერის პაკეტი 515 მლნ ლარს შეადგენს და მოიცავს შემდეგს:

- **საშემოსავლო გადასახადის შეღავათი** – 1 500 ლარამდე ხელფასის მქონე პირები 750 ლარამდე თანხის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდებიან 2021 წლის დეკემბერი-მაისის პერიოდში. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა: 33 ათასი კომპანია და 425 ათასი დასაქმებული. ბიუჯეტი – 260 მლნ ლარი.
- **ქონების გადასახადის შეღავათი ტურიზმის სექტორისთვის** – ტურიზმის სექტორი (სასტუმროები, რესტორნების და მსგავს საქმიანობაში ჩართული ქონება) 2021 წელს გათავისუფლდება ქონების გადასახადისგან. ბიუჯეტი – 45 მლნ ლარი;
- **2020 წლის ოთხი თვის გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ჩამოწერა** – განხორციელდება ტურიზმის სექტორში (სასტუმროები, რესტორნების და მსგავს საქმიანობაში ჩართული კომპანიები) 2020 წლის პირველ დეკემბრამდე გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ჩამოწერა. ბიუჯეტი – 20 მლნ ლარი;
- **გაგრძელდება სასტუმროების საბანკო სესხების პროცენტის სუბსიდირება,** ასევე ამოქმედდება რესტორნების საბანკო სესხების პროცენტის სუბსიდირება ექვსი თვის განმავლობაში. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა – 3 700 კომპანია;
- **მიკრო გრანტების პროგრამა** – მიმდინარეობს მეწარმეობის მიკრო გრანტების პროგრამა, რომელიც ათასობით ახალ ბიზნესპროექტს დააფინანსებს (2020 წლის პროგრამა). ბიუჯეტი – 40 მლნ ლარი;
- **საკრედიტო-საგარანტიო ფონდი** – 2021 წელს აქტიურად გაგრძელდება საკრედიტო-საგარანტიო ფონდის მუშაობა, რომელიც დაეხმარება კერძო სექტორს როგორც არსებული სესხების რესტრუქტურიზაციაში, ასევე, ახალი სახსრების მოზიდვაში. ბიუჯეტი – 100 მლნ ლარი;

საბანკო სესხების გადავადების შესაძლებლობა ექნებათ იმ კომპანიებს, რომლებსაც შეეზღუდებათ საქმიანობა დეკემბერი-იანვრის პერიოდში.

# შეზღუდვების სრული ნუსხა

**პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ქვეყანაში მოქმედი წერტილოვანი შეზღუდვების გამკაცრებისა და გაფართოების გადაწყვეტილება მიიღო.**

**უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით:**

**28 ნოემბერი – 31 იანვრის ჩათვლით ქვეყნის მასშტაბით იზღუდება:**

- 21:00 საათიდან 05:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა; გამონაკლისი იქნება ახალი წლის ღამე – 31 დეკემბრის ღამე და ასევე შობის ღამე – 6 იანვრის ღამე;
- მგზავრების რეგულარული საქალაქთაშორისო გადაყვანა, მათ შორის – რკინიგზით, ავტობუსით, სამარშრუტო ტაქსით. მსუბუქ ავტომობილებზე (მათ შორის ტაქსებზე) არ წესდება შეზღუდვა;
- რესტორნები და კვების ობიექტები მთლიანად გადადიან გატანის სერვისზე (დასაშვებია: პროდუქტის გატანა ე.წ. takeaway, „დელივერი", „დრაივი");
- ფიტნეს დარბაზებისა და საცურაო აუზების მუშაობა;
- ყველა სახის კონფერენციის, ტრეინინგის, კულტურული, გასართობი ღონისძიებების ჩატარება – დასაშვებია მხოლოდ ონლაინ ფორმატით.

სპორტული, სახელოვნებო და კულტურული წრეების/სტუდიების საქმიანობა.

**დიდ ქალაქებში – ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდში, ქ.თელავში და სათხილამურო კურორტებში – ბაკურიანში, გუდაურში, გოდერძსა და მესტიაში დამატებით წესდება შემდეგი შეზღუდვები:**

- ქ. თბილისის, ქ. თელავის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. გორის, ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის საზღვრებში მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობა;
- სავაჭრო ობიექტები (გარდა სურსათის, ცხოველების საკვების, აფთიაქების, ვეტაფთიაქის, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის მაღაზიებისა და პრესის ჯიხურებისა) მუშაობენ მხოლოდ დისტანციურ რეჟიმში;
- ღია და დახურული ბაზრობები არ მუშაობენ. ფუნქციონირებას აგრძელებენ აგრარული ბაზრები;
- სკოლები, პროფსასწავლებლები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (გარდა სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამებისა) სრულად გადადიან დისტანციურ რეჟიმზე;
- კერძო და საჯარო საბავშვო ბაღები აჩერებენ მუშაობას.

**სათხილამურო კურორტეზე ასევე:**

- სასტუმროების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ საკარანტინო სივრცეების მოსაწყობად;
- ასევე, ჩერდება სათხილამურო ტრასებისა და სათხილამურო საბაგიროების ფუნქციონირება.

**24 დეკემბერი-2 იანვრის პერიოდში ხდება შეზღუდვების შემსუბუქება: ქვეყნის მასშტაბით:**

- იმუშავებენ სავაჭრო ცენტრები, ღია და დახურული ბაზრობები;
- აღდგება როგორც მუნიციპალური, ისე – საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მუშაობა.

**3 იანვარი-15 იანვრის პერიოდში ქვეყნის მასშტაბით:**

- ცხადდება უქმე/დასვენების დღეები;
- აღდგება ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებდა 28 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე პერიოდში;
- არ მუშაობს საჯარო და კერძო დაწესებულება, გარდა ბანკებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა და სერვისებისა.

**16 იანვარი -31 იანვარი ქვეყნის მასშტაბით:**

- აღდგება მუნიციპალური და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მუშაობა, სავაჭრო ობიექტებისა და ღია და დახურული ბაზრობების მუშაობა (გარდა შაბათ-კვირისა).
- შაბათ-კვირას ტრანსპორტი, სავაჭრო ობიექტები და ბაზრობები აჩერებენ მუშაობას.

**მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შეზღუდვები არ ეხება: ყველა სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, მათ შორის:**

- სახელმწიფო და კერძო სამშენებლო-სარემონტო საქმიანობას;
- საბანკო და საფინანსო საქმიანობას;
- სურსათის, ცხოველების საკვების, აფთიაქების, ვეტაფთიაქის, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის მაღაზიების და პრესის ჯიხურების მუშაობას;
- დელივერსა და გატანის სერვისებს;
- სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრების მუშაობას;
- ავტოტექმომსახურებისა და ტექნიკური ინსპექტირების სერვისებს;
- საყოფაცხოვრებო ტექნიკის სარემონტო სერვისებს;
- აგრარული ბაზრობის მუშაობას
- და სხვ.
- არ იზღუდება მსუბუქი ავტომობილით (მათ შორის – ტაქსით) გადაადგილება.

**მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური**

# გეგმიური ოპერაციების დაყოვნება ბიუჯეტს არ უკავშირდება



**საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, 2021 წლის მარტამდე, გეგმიური ოპერაციები აღარ დაფინანსდება. გადაწყვეტილებამ, რომელიც ჯანდაცვის მინისტრმა პაციენტების უსაფრთხოების დაცვით ახსნა, ჰოსპიტალურ სექტორში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.**

**„ჯო ენის სამედიცინო ცენტრის“** გენერალური დირექტორი **ვახტანგ ლაშხი** აცხადებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით შესაძლოა პაციენტის ჯანმრთელობას შეექმნას საფრთხე, რადგან ერთ დროს გეგმიური ოპერაციები, ბოლოს სასწრაფო ოპერაციები გახდება. მისივე განმარტებით, სამედიცინო თვალსაზრისით მომზადებულად, გეგმიურად გაკეთებული ოპერაციები უფრო სწორია.

**„შეიძლება ოპერაცია გეგმიური იყოს ორი თვის განმავლობაში, მაგრამ ვადაში თუ არ ჩაჯექი, შემდეგ გადაუდებელი გახდება. სასწრაფო ოპერაციებს კი ნამდვილად გეგმიური სჯობია, რადგან ბევრ გართულებას აირიდებ თავიდან. როდესაც სასწრაფო შემთხვევასთან გაქვს საქმე, ვერ იკვლევ, პაციენტს რაიმე სირთულეები აქვს თუ არა, შეიძლება ისეთი თანმხლები დაავადება ჰქონდეს, რომ იმას ვერ უმკურნალო და მდგომარეობა გართულდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხარჯის კუთხითაც, გეგმიური ოპერაციის გაკეთება უფრო ეფექტურია“**, — აცხადებს ვახტანგ ლაშხი.

ექიმი მიიჩნევს, რომ ახალი დადგენილება „ჯო ენის სამედიცინო ცენტრს“ არ ეხება, რადგან მათთან გაკეთებული ოპერაციების 90 პროცენტი არის სასწრაფო ან სასწრაფო დაყოვნებული. ვახტანგ ლაშხის განცხადებით, შესაძლოა საქართველოს მთავრობა აღნიშნული გადაწყვეტილებით საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას გეგმავს.

**„ჩვენი საავადმყოფო ძირითადად ბავშვთა კარდიოქირურგიის მიმართულებით მუშაობს. ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ახალშობილი მოუყვანიათ და როდესაც არ იცი, შენი პაციენტი ხვალ დაიბადება თუ ერთ კვირაში, ვერაფრით გახდები კოვიდსაავადმყოფო. როგორც სამშობიაროს ვერ გადაიყვან კოვიდ მიმღებად, ჩვენც დაახლოებით ასე განვიხილებით. ჩვენს შემთხვევაში ეს იძულებით მოხდება თუ ქვეყანაში ტოტალურად მძიმე სიტუაცია შეიქმნება, გეგმიური ოპერაციები თუ ვერ გააკეთე, თუ დაფინანსება ვერ მიიღე, თანამშრომლები ხომ უნდა შეინარჩუნო?! დადგენილება შევიდა ძალაში, მაგრამ ჩვენთან ეს ფაქტად არ დამდგარა, მსგავსი შემთხვევა თუ მოხდება ალბათ, თანხას არ აანაზღაურებენ, მაშინ გავჩერდებით და ეგ იქნება. ლოგიკურად, რომ ვიმსჯელოთ, ალბათ არ არის ფინანსური საშუალება იმისა, რომ თანხა ყველაფერს მოახმარონ, ან შეიძლება ფინანსურ რესურსებს ინახავენ, რათა ვირუსის კიდევ უფრო გავრცელების შემთხვევაში, კოვიდს მოახმარონ“**, — განმარტავს ვახტანგ ლაშხი.

ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას გეგმიური ოპერაციების შეჩერებასთან დაკავშირებით სწორს და დროულს უწოდებს **„საქართველოს კარდიოქირურგთა ასოციაციის“ პრეზიდენტი სულხან ლომინაძე**. მისი თქმით, ქვეყანაში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, პაციენტისთვის უმჯობესია გეგმური ოპერაციები გადაიდოს.

**„ჯანდაცვის სამინისტრომ სწორი და დროული გადაწყვეტილება მიიღო, შეიძლება ცოტა დაგვიანებულიც კი, თუმცა ეს დადგენილება აუცილებლად უნდა ამოქმედებულიყო. პირველი არის პაციენტი, შემდეგ არის ფინანსური მხარე. ამ ეტაპზე, როდესაც ასეთი კრიტიკული ვითარებაა, პაციენტებისთვის უმჯობესია, გეგმიური ოპერაციები გადაიდოს. ეს ყველა ქვეყანაში აპრობირებული მეთოდია. ჩვენი კლინიკა არ არის კოვიდ პაციენტებით დატვირთული და მწვანე კლინიკად ითვლება, მაგრამ პაციენტების მომართვიანობა განახევრებულია, აქედან გამომდინარე, თუ პაციენტს ჩარევის თვალსაზრისით რაიმე დასჭირდა, ეს შეიძლება ურგენტულადაც გაკეთდეს და სასწრაფო დაყოვნებულითაც“**, — ამბობს სულხან ლომინაძემ.

**„საქართველოს კარდიოქირურგთა ასოციაციის“** პრეზიდენტის აზრს იზიარებს **„Medi Club Georgia“-ს სამედიცინო დირექტორი გიორგი გოცაძე**. იგი აცხადებს, რომ გადაწყვეტილება პაციენტების ნაკადების შემცირებას ემსახურება. გოცაძე ამბობს, რომ „Medi Club Georgia“ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური და ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად იმოქმედებს.

**„ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი პანდემიის მართვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. გეგმიური სერვისების შეწყვეტა, ასეთი მოზღვავებული პაციენტების პირობებში, არის მართვის თანმხლები გადაწყვეტილება. მიღებული დადგენილება კავშირში იმასთან, რომ გეგმიური ნაკადი ჰოსპიტალში შემცირდეს და დაწესებულებას ჰქონდეს საშუალება დაინფიცირებულ პაციენტებს მოემსახუროს. ჩვენ მივყვებით ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებებს და რეკომენდაციებს. შესაბამისად არ გვაქვს უფლება, შევეწინააღმდეგოთ. რახან ამ გადაწყვეტილებას იღებენ, ე. ი. ის გარკვეულ მონაცემებზე და მდგომარეობაზეა დაფუძნებული. 10 რიცხვამდე ვისაც საგარანტიო წერილი მიღებული აქვს, იმათი მომსახურება უნდა მოხდეს, ამის შემდეგ მწვავე შემთხვევებზე ვიმოქმედებთ, რომელშიც შედის როგორც თერაპიული ასევე ქირურგიული პათოლოგიები“**, — ამბობს გიორგი გოცაძე.

**ჯანდაცვის მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის** თქმით, დაგეგმილი ოპერაციების გადადება ნაკლებად საზიანო იქნება. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში მინისტრმა თქვა ისიც, რომ გადაწყვეტილება ბიუჯეტს არ უკავშირდება.

**ჩვენ გვქონდა არაერთი შემთხვევა, ადამიანი რომელიც არ იყო კოვიდინფიცირებული, მიმართა კლინიკას, ჩაიტარა კონკრეტული ოპერაცია და ოპერაციის შემდეგ მას დაუდასტურდა კოვიდინფექცია, აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ისევ პაციენტების უსაფრთხოების მიზნით, გეგმიური ოპერაციები შევზღუდოთ და დაყოვნება გავზარდოთ პირველ მარტამდე,** — განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

შეგახსენებთ, რომ 19 ნოემბრის №688 დადგენილების თანახმად, გეგმიური ოპერაციები პირველ მარტამდე გადაიდება. გამონაკლისს წარმოადგენს, სასწრაფო-დაყოვნებული ტიპის ინტერვენციები, ასევე ონკოლოგიური ოპერაციები, კარდიოქირურგიის, ინტერვენციული კარდიოლოგიის და არითმოლოგიის მომსახურება.

**ბაჩო ადამია**


# განცხადება

## სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრის დირექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად

ცენტრის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომლის ასაკიც, არჩევნების პერიოდისთვის, არის 65 წელს ქვემოთ, რომელიც ფლობს სახელმწიფო და ერთ-ერთ უცხო ენას (სასურველია ინგლისური), მინიჭებული აქვს აკადემიური დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, ცენტრის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებიდან (ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, ციტოლოგია, მორფოლოგია, ბიოფიზიკა, რადიობიოლოგია) ერთ-ერთში.

ცენტრის დირექტორი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი დირექტორად, ზედიზედ, შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;
3. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. ავტობიოგრაფია (ჩV);
4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
5. ცენტრის მომავალი განვითარების ხედვა-პროგრამა.

დოკუმენტები გადმოაგზავნეთ მეილზე :
**maiamakharadze11@gmail.com; matitaishvili.t@gmail.com**
ბოლო ვადაა 2020 წლის 11 დეკემბრი, 18.00 საათი.


# „დისტანციური სწავლების მართვის სახელმძღვანელო“ მალე გვექნება...

**„დისტანციური სწავლების მართვის სახელმძღვანელო“ სკოლის მართვის დამხმარე პროდუქტია, რომელიც „საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის“ ორგანიზებით იქმნება და მიზნად ისახავს ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელშეწყობას.**



დისტანციური სწავლების ეფექტიანად განხორციელებაში, საუკეთესო გამოცდილებათა თავმოყრას როგორც საქართველოს, ისე უცხოური ქვეყნების მაგალითზე და სკოლის ადმინისტრატორებისთვის ერთიანი სახელმძღვანელო გზამკვლევის შექმნას პრაქტიკული/კონკრეტული რეკომენდაციებითა და ინსტრუქციებით პროექტზე მუშაობის პირველ ეტაპზე საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონის მასშტაბით სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან კვლევითი სამუშაოები უკვე დასრულდა და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ავტორებმა კონკრეტულ თემებზე დაიწყეს მუშაობა.

სახელმძღვანელოს ავტორები არიან: **გია მურღულია** — სკოლა „ლოგოსის“ დამფუძნებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, **სიმონ ჯანაშია** — განათლების მკვლევარი, **მარიამ ჩიქობავა** — საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, **ნიკოლოზ სილაგაძე** — საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების კოორდინატორი, **გიორგი ჭანტურია** — კოალიცია „განათლება ყველასთვის“ დირექტორი, **მეგი კავთუაშვილი** — ასოციაცია „მშობლები განათლებისთვის“ ხელმძღვანელი, **ეკატერინე კვირიკაშვილი** — ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, **ხათუნა ბარაბაძე** — პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის პროფესიის რეგულირების პროგრამის ხელმძღვანელი და სხვები.

# რუსული სცენარი ბოლომდე არ დასრულებულა - დარჩა ფაშინიანის გადაყენება

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის, პოლიტოლოგ **ირაკლი გოგავას** განცხადებით, უწმინდესის აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან შეხვედრა იმ დიდი ავტორიტეტის, როლის და ფუნქციის აღიარებაა, რაც ქართულ ეკლესიას საქართველოში და მსოფლიოში გააჩნია. როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, ბოლო წლებში ეკლესიის გარდა ყველა დანარჩენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია პასიურია, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პირდაპირი კონტაქტის დამყარება აშშ-ის პოლიტიკურ ლიდერებსა და ჩვენს ეკლესიას შორის.



**— დავით გარეჯის საქმეზე დაკავებულ ივერი მელაშვილს და ნატალია ილიჩოვას სასამართლო პროცესი ახლოვდება. დაკავებულები ამტკიცებენ, რომ უდანაშაულონი არიან, ოპოზიცია კი ამტკიცებს, რომ დავით გარეჯის საქმე სახელმწიფომ წინასაარჩევნოდ გამოიყენა. მიმდინარე გამოძიებაზე კომენტარს არ აკეთებს პროკურატურა. ბატონო ირაკლი, რა გარემოებებით შეიძლება აიხსნას პროკურატურის დუმილი?**

**ირაკლი გოგავა:** ეს ის საკითხია, სადაც ხელისუფლება ვალდებულია, საზოგადოებას პასუხები გასცეს. პირადად მე ვენდობი გარეჯის ბერებს, არქიმანდრიტ ილარიონს და მამა კირიონს, ისინი პატრიოტები არიან. თუმცა ისიც მესმის, რომ სასამართლოს გარეშე ვერავის ვერაფერს დააბრალებ. ფაქტია, რომ საეჭვო გარემოებების გამო ქართული სახელმწიფო ზარალდებოდა და საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი ელის პასუხებს.

ისიც გამოჩნდება, იყო თუ არა ეს წინასაარჩევნო თემა, როგორც ამას ზოგიერთი წარმოაჩენდა. აზერბაიჯანთან კი დელიმიტაცია-დემარკაციის სამუშაოები უნდა გაგრძელდეს. ასევე უნდა დაიწყოს აზერბაიჯანულ-სომხური კონფლიქტის გამო ადრე დანალმული ქართული სასაზღვრო ტერიტორიების განაღმვის პროცესი. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ცხელი ფაზა ამ ეტაპზე დასრულდა, ამიტომ ეს საქმე საშურია, რადგან ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას ეხება.

**— დღეს თუ შეიძლება ვთქვათ, რეალური მოტივი რატომაც ქვეყანაში ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი?**

— აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ჰქონდა დაგეგმილი ტურნე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში: ისრაელი, საუდის არაბეთი, ყატარი, ემირატები. ვფიქრობ, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო მარშრუტს დაამატა საფრანგეთი, როგორც სომხეთის ბედით განსაკუთრებულად დაინტერესებული ქვეყანა და საქართველო, როგორც რეგიონის ქვეყანა. საფრანგეთსა და საქართველოს შორის გზად კი, თურქეთშიც ჩავიდა, კერძოდ კონსტანტინოპოლში, ანუ სტამბოლში. გარედან ისე ჩანდა, რომ ყარაბაღის თემა აზერბაიჯანმა, რუსეთმა და თურქეთმა ერთმანეთში გაითამაშეს და შეთანხმებულად დაასრულეს.





აშშ და საფრანგეთი კი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები არიან და აუცილებელი იყო მათი როლის დემონსტრირება კრიტიკოსებისთვის. ამიტომაც ეწვია მაიკ პომპეო სამხრეთ კავკასიის რეგიონს. ამ ვიზიტით აჩვენეს ყველას და მათ შორის მილიონამდე სომხური წარმოშობის ამერიკის მოქალაქეს, რომ აშშ არის რეგიონში და აქვს ინტერესი.

**— სახელმწიფო მდივანი თურქეთში მსოფლიო პატრიაქრს შეხვდა, საქართველოში კი საქართველოს პატრიარქს. ამერიკელი მაღალჩინოსნის შეხვედრა რელიგიურ ლიდერებთან იყო ამ ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი, ამით რას გაესვა ხაზი აშშ-ის ადმინისტრაციის მხრიდან?**

— ტრამპი და პომპეო ეკლესიებს პატივს სცემენ და აღმსარებლობის თავისუფლება კი საგარეო პოლიტიკის ნაწილია. მათი ლოზუნგია **„ღმერთი, ოჯახი, სახელმწიფო“** — ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. ერთ—ერთ ინტერვიუში პომპეომ აღნიშნა, რომ ბიბლია მისი სამაგიდო წიგნია და ყოველდღე ჩაიხედავს ხოლმე მასში. მაიკ პომპეო თავად ევანგელისტი ქრისტიანია, ხოლო მისი მეუღლე სუზანი კი მართლმადიდებელი.

კონსტანტინოპოლში ის შეხვდა კონსტანტინოპოლის (მსოფლიოს) მართლმადიდებელ პატრიარქს ბართლომეოსს. გალიის მიტროპოლიტმა ემანუილმა ამ შეხევდრას „ისტორიული“ უწოდა. საქართველოს საპატრიარქოსთან შეხვედრაც თავად მოითხოვა და უწმინდესთან მისი შეხვედრაც შედგა. ვფიქრობ, რომ რელიგიურ ლიდერებთან შეხვედრა იმ გენერალური პოლიტიკის ხაზგასმაა, რაც ტრამპის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და რასაც ტრადიციული ქრისტიანული ღირებულებების მხარდაჭერა შეგვიძლია ვუწოდოთ.

**საქართველოს პატრიარქთან შეხვედრას რა მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ უწმინდესის მაღალი ავტორიტეტით შეიძლება აიხსნას ეს მოვლენა?**

— მისასალმებელია, რომ მის უწმინდესობა ილია მეორესთან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის შეხვედრა შედგა. ეს იმ დიდი ავტორიტეტის, როლის და ფუნქციის აღიარებაა, რაც ქართულ ეკლესიას საქართველოსა და მსოფლიოში გააჩნია. ქართული ეკლესია „ეროვნული გონის“ შემადგენელი ნაწილია და მისი ავანგარდია. ტრადიციულად, ეროვნული გონის შემადგენელი ნაწილებია უნივერსიტეტები, სამეცნიერო კავშირები თუ აკადემიები, ეკლესია, არმიის ოფიცრობა, მწერალთა და ჟურნალისტთა ალიანსები... ჩვენ გვახსოვს, რომ უმაღლესი რანგის უცხოელი ლიდერები სწორედ ამ ინსტიტუციებს სტუმრობდნენ ხოლმე.

ბოლო წლებში კი ასე აღარ ხდება, ეკლესიის გარდა ყველა დანარჩენი, სამწუხაროდ, პასიურია. ძალიან კარგია, რომ პირდაპირი კონტაქტია დამყარებული აშშ-ის პოლიტიკურ ლიდერებს და ჩვენს ეკლესიას შორის, ეს ბევრ გაუგებრობას აგვარიდებს თავიდან. საქართველოს პატრიარქს კი ათწლეულებია ყველაზე მეტი ქართველის ნდობა აქვს და ვფიქრობ, ხალხის ინტერესებს ყველაზე კარგად მიიტანენ ჩვენ პარტნიორებთან.

**— რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს, როგორ ფიქრობთ, კონფლიქტის ასე დასრულება, რაც ვიხილეთ, მისაღებია თუ არა?**

— კარგია, რომ გაიმარჯვა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპმა. ჩვენ და აზერბაიჯანელები ამ პრინციპს ვიცავდით ყოველთვის. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი უდავოდ ლეგიტიმურია. სამწუხაროდ, სამხედრო მოქმედებები დასჭირდა, ჯობდა, მშვიდობიანად მოგვარებულიყო. ბაქოს პოზიცია, როდესაც მათ არ მოინდომეს სტეპანაკერტის აღებაც, რაც ეთნიკურ წმენდას ნიშნავდა, ასევე მიუთითებს პასუხისმგებლობის გრძნობაზე და ვინც რა არ უნდა თქვას, სწორი გადაწყვეტილება იყო.

**როგორ ფიქრობთ, ვინ იხეირა ამ კონფლიქტის შედეგებით?**

— გამარჯვებული უდავოდ აზერბაიჯანია. მათ აღადგინეს ტერიტორიული მთლიანობა. გაანთავისუფლეს 10 000 კვ/კმ. ამაში შედის ყარაბაღს გარეთ 7 აზერბაიჯანული რაიონის და საკუთრივ ყარაბაღის ტერიტორია ქალაქ შუშით. სომხებს დარჩათ სტეპანაკერტი და 2 500 კვ/კმ. რუსეთმა კი თავისთვის იდეალური როლი ითამაშა: დასაჯა მათთვის მიუღებელი ფაშინიანი და გაიფორმა სამხედრო ბაზა აზერბაიჯანში, რომელიც მანამდე არ ჰქონდა.

თურქეთიც რეგიონალურ ზესახელმწიფოდ გამოჩნდა რუსეთის თანხმობით, თუმცა რეალურად, რუსულ პროექტს შეუწყო ხელი. ამ ვალს, რუსეთი თურქეთს, ალბათ, სადმე, ახლო აღმოსავლეთში ან კიდევ მაღრიბის ქვეყნებში დაუბრუნებს, ან უკვე ავანსად მისცა. რუსული სცენარი ბოლომდე არ არის დასრულებული — დარჩა ფაშინიანის გადაყენება.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

---

**ლევან თაქთაქიშვილი:**

# არის რაღაც ისტორიული ფესვები ჩვენს ერებს შორის,

## არ მეგონა, ასე თუ გაწირავდნენ რუსები სომხებს



**ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ: 2008 წლის დეკემბერში მე და ჩემი ძვირფასი მეგობარი ლუარსაბ ტოგონიძე ერევანს წავედით. რატომ წავედით, არც მახსოვს. ჰო, მიზეზი გამოვნახეთ, წავსულიყავით და გვენახა იქაური მშრალი ხიდის მსგავსი საკვირაო ბაზრობა, ძველებური ფოტოები უნდა ეყიდა ლუარსაბს, მე კი — წიგნები. ორივეს იმედი გვქონდა, „თევზაობა“ წარმატებული იქნებოდა... თუმცაღა, არც ისე წარმატებული გამოდგა.**

მე უფრო გამიმართლა — ტოკარსკის წიგნი ვიყიდე სომხურ არქიტექტურაზე, ლუარსაბმა რესტორანში აღნიშნა ჩვენი ექსპედიცია... ერთი კურიოზიც მოხდა: რესტორნიდან ტაქსით გადავწყვიტეთ წამოსვლა, გავაჩერეთ, ჩავსხედით და არც დაძრულა ტაქსი, მე შევამჩნიე, რომ ჩვენი სასტუმრო ჩანდა. ვუთხარი მძღოლს, აღარ გვინდა-მეთქი, მე უკვე გადავატრიალე ე.წ. „შჩოჩიკიო“, ბრატო, „დავაი დენგიო“, ლუარსაბი შეეკამათა, მე კი ვეკითხები: სომხურად „პრაკაცელეს“ რას ნიშნავს-მეთქი. ასეთი სიტყვა არაა სომხურშიო. აბა, სიკვდილი როგორაა-მეთქი? „მაღაცელესო“. გადავუხადე 1500 დრამი, რასაც ითხოვდა, 3 დოლარი იყო მაშინ და გაოცებული დარჩა ლუარსაბი. მძღოლმა მოგვაძახა: „ს რუსკიმი ნე ნადო შუტიტ, გრუზინიო!“ და წავიდა. კი მივხვდი, ნიშნის მოგებით რაც გვითხრა. აგვისტოს ამბებზე წაგვიგველა. მოიშხამა ლუარსაბი.



მოვედით სასტუმროში. ვზივართ ნომერში. კონიაკი და სუჯუკი გააძრო ლუიმ და ჩავარტყით. ის „პრაკაცელეს“ რაში გეგულისყურებოდაო? მეკითხება ლუარსაბი. მე კი ჩვენი ოჯახის ერთი ამბავი მოვუყევი. მამაჩემისგან ათასჯერ მოსმენილი. მამაჩემის დედა ცუცა (ანგელინა შარაშენიძე) ტობანიერიდან იყო. მის ძმას სერგოს სახლის მეორე სართულზე ტობანიერში სოფლის მოსამართლე ვიღაც სომეხი შეუსახლეს. სერგოიას პირველ სართულზე საღამოს ჭრიალის ხმა უშლის ხელს ძილში, თურმე ზემოთ სომეხი მოსამართლე ცოლთან ღლაბუცობს, აიღო სერგომ თოფი და ჟაკანი გლიჯა იატაკის იმ ადგილს, სადაც ჭრიალი ესმოდა. ეს მოსამართლე არ დაჭრილა, მაგრამ მეორე დღეს გულის შეტევით გარდაცვლილა. მამაჩემი ამბობდა: იქ სომხები ყვიროდნენ: „პრაკაცელეს, პრაკაცელესო“, სერგოსაც დაუყვირია: „ოდინ კრასნი სომეხ პრაკაცელესო“. მე კი დავადგინე ერევანში, რომ „მაღაცელეს“ უთქვამთ.

მეორე დღეს, ქალაქის ცენტრში, მოედანზე წიგნების მაღაზიაში შევედით. ვათვალიერებ წიგნებს და ლუარსაბი გაშეშებული ერთ წიგნს დასჩერებია. უნდა ვიყიდოო. ფასი იკითხა და ახლა წარმოიდგინეთ მაღაზიის გამყიდველის სახე: ჩოხა-ახალუხით და ქამარ-ხანჯალში ლუარსაბს რომ დაინახავს: 300 დოლარიო. ვაი შენს ლევანს... დააძრო საფულე ლუარსაბმა და იხდის. ვეუბნები: ეს ფასი არ ღირს ეს წიგნი-მეთქი. ამ სურათს აქ ვერ დავტოვებო. სურათი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისაა, დავით მეხუთესიო, იატაკს რომ ხეხავს. შევედი დირექტორთან. რომ გაიგო, თბილისიდან ვიყავი და თან ეროვნული ბიბლიოთეკიდან, აბა ყავა-ჩაი, ნამცხვარი, კონიაკი... თბილისს ვენაცვალეო, მშურს თქვენი ერისო, კარგის გაგებითო, პოლიტიკური სიბეცე კი ჩვენებისო, რუსები ჩვენ არ გაგვახარებენო, ევროპას რომ უყურებთ, ეს ერთადერთი გამოსავალიაო.

ეს ფოტოც დაგვისკანერა, მოგვიბოდიშა, შემოტანილიაო. დიდი მადლობა გადავუხადეთ. ლუარსაბმა მაინც იყიდა ბოლოს. დიდი ამბით გამოგვაცილეს. არის რაღაც ისტორიული ფესვები ჩვენს ერებს შორის. არ მეგონა, ასე თუ გაწირავდნენ რუსები სომხებს. რუსებმა სომხეთი „მაღაცელეს“ ასეა ეს. აი ეს ფოტოც, სომეხი ფოტოგრაფის დაჭერილი წამი.



# ადამიანი იმდენად საშინელი შეთქმულების პირისპირ დგას, რომ უარს ამბობს, დაიჯეროს მისი არსებობა

## 6. საპროტესტო აქციები, გერმანიაში გადადგმული იურიდიული ნაბიჯი და, ზოგი რამ სხვაც

დასავლეთის ბევრ სახელმწიფოში ჩვენზე უარეს დღეში ჰყავთ მოსახლეობა და თვალებს არ უჯერებ, როცა უყურებ, თუ როგორ ადებს ამერიკელი პოლიციელი მოხუც პენსიონერ ქალს **ბორკილებს(!),** რომლის დანაშაულიც ის იყო, რომ პირბადის გარეშე გამოვიდა ქუჩაში! ამ მხრივ არც ევროპაშია უკეთესი მდგომარეობა, მაგრამ სულ უფრო და უფრო მატულობს ხალხის აღშფოთება ევროპის (და ამერიკისაც) დედაქალაქებში — კარანტინის და პირბადეების საწინააღმდეგო ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები იმართება ბერლინში, პარიზში, ლონდონში, კოპენჰაგენში და სხვაგან საგულისხმო პლაკატებით: „კოვიდ თაღლითობა“, „პლანდემია“, „პანიკდემია“, „გაერთიანდეთ ჩვენი თავისუფლებისთვის“, „მიბაძე შვედეთს“, „გააჩერეთ ბილ გეიტსი“, „მედია არის ვირუსი“, „არ ენდოთ ხელისუფლებას“, „არ დაუჯეროთ მედიას“, „ებრძოლე სიცრუეს“, „პირბადე ინფექციის რისკს ზრდის“, „პირბადე აქვეითებს იმუნიტეტს“, **„კოვიდის მკურნალობა — ტელევიზორისგან თავისუფალი 90-დღიანი მკაცრი დიეტა“** და სხვა. ამ მიტინგების და ღვაწლმოსილი მეცნიერების, მათ შორის, ჩვენი, მოსაზრებების გაშუქება პრესა-ტელევიზიაში, თუკი მათი პოზიცია ოფიციალურს არ ემთხვევა, პრაქტიკულად, არ ხდება. სამაგიეროდ, ახერხებენ სულ ახალგაზრდა ექიმების პირდაპირ ჩართვას (როგორც წესი, ამერიკიდან), რომლებსაც ეპიდემიოლოგია-ვირუსოლოგიაში საკმარისი ცოდნა-გამოცდილება არ გააჩნიათ. არადა, სწორედ ამ დარგის ავტორიტეტული სპეციალისტების შეხედულებაა უმნიშვნელოვანესი ასეთ დროს, და არა, ვთქვათ, — თერაპევტის ან რეანიმატოლოგის.

ეს ყველაფერი იქაური ექიმების (და არა მარტო) დამსახურებაა, რომლებსაც მართალი, პროფესიონალური სიმართლე მიაქვთ ადამიანებამდე ელექტრონული მედიის საშუალებით და სახალხო შეკრებების გზით. **500-მა გერმანელმა ექიმმა** პრესკონფერენცია გამართა, სადაც ითქვა, რომ „კორონავირუსის პანდემია არის **ფეიკი, ეს აფიორაა, მოტყუებაა, გლობალური დანაშაულია“**.

**600-მა ესპანელმა ექიმმა** განაცხადა: „კოვიდ-19 ფეიკპანდემიაა. **ეს არის გლობალური დიქტატურის ძალით თავსმოხვევა სამედიცინო საბაბით.** ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, შევაჩეროთ ეს დანაშაულებრივი ოპერაცია სიმართლის გავრცელებით“.

**ჰარვარდის, სტენფორდის და ოქსფორდის ეპიდემიოლოგებმა პეტიცია დაიწყეს ყოველნაირი ლოკდაუნების და შეზღუდვების შეწყვეტის მოთხოვნით,** რასაც უკვე **1700-მა ექიმმა და მეცნიერმა** მოაწერა ხელი.

ექიმებს არც იურისტები ჩამორჩნენ — **მიჩიგანის შტატის უზენაესმა სასამართლომ შტატის გუბერნატორის გადაწყვეტილება** — შემოეღო საგანგებო ზომები, როგორც, ვითომდაც, „უსაფრთხოება კოვიდის დროს“, **გააუქმა.**

როგორ დავიჯერო, რომ ჩვენთან, ვისაც ეს ევალება სამსახურეობრივად, არ იციან, თუ რა ხდება მსოფლიოში, არ ეცნობიან მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების, ნობელის პრემიის ლაურეატების მოსაზრებებს, არ კითხულობენ კორონას შესახებ არაფერს (ჯანმოს რეკომენდაციების და პროტოკოლის გარდა) და, თუ კითხულობენ და მაინც არ შეპარვიათ ეჭვი კორონასთან მიმართებაში გატარებულ ზომებში, მაშინ, — ძალიან ცუდი, მაგრამ, თუ ბოლოს და ბოლოს მოტვინეს, თუ რა თაღლითობასთან და დანაშაულთან გვაქვს საქმე სინამდვილეში და ხმას მაინც არ იღებენ, კიდევ უფრო უარესი მათთვის, რადგანაც **დადგება ფეიკპანდემიის მთავარი ორგანიზატორების განკითხვის დღეც და, არა მგონია, ჯანმოდან მიღებული „რეკომენდაციების“ ფრიადზე შემსრულებლებმა ისევ საპატიო ჯილდოები დაიმსახურონ.**

გასაკვირია, მაგრამ ყველას მაინც ამერიკის მიერ ოკუპირებულმა გერმანიამ (ეს ბუნდესტაგის ერთ—ერთი დეპუტატის შეფასებაა!) აჯობა, სადაც ყველაზე უკეთესი მდგომარეობა იყო (ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის) კორონათი დაინფიცირებულების რაოდენობით და სიკვდილიანობის მაჩვენებლითაც. ოთხმა ცნობილმა იურისტმა 10 ივლისს **კორონავირუსის საგამოძიებო კომისია** შექმნა. კომისიას სათავეში უდგას გერმანიის და კალიფორნიის ადვოკატთა კოლეგიის წევრი **რაინერ ფულიჩი.** რაინერ ფულიჩი არის ის იურისტი, რომელიც იძიებდა ისეთ გახმაურებულ საქმეებს, როგორებიცაა „დოიჩე ბანკის“, „ფოლკსვაგენის“ და სხვა გახმაურებული თაღლითობები. კომისიის მიერ შეგროვებული მასალები იმის მტკიცების უფლებას იძლევა, რომ კორონავირუსული პანდემია სინამდვილეში ეს არის **კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული** (ეს ფორმულირება პირველად ნიურნბერგის ტრიბუნალზე განისაზღვრა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ), მას კონკრეტული ორგანიზატორები ჰყავს და ისინი უნდა გასამართლდნენ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი. საბოლოო სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს **სამ მთავარ კითხვას:**

**პირველი, — ადგილი აქვს კორონაპანდემიას თუ ეს არის PCR-ტესტების პანდემია,** უფრო ზუსტად, — ნიშნავს თუ არა ტესტის დადებითი პასუხი რომ ადამიანი დაინფიცირებულია კორონავირუსით თუ იგი არაფერს არ ნიშნავს კოვიდ-19-ის ინფექციასთან მიმართებაში;

**მეორე, — არის თუ არა ე.წ. ანტიკორონავირუსული ზომები:** ლოკდაუნი, პირბადეების სავალდებულო ტარება, დისტანცირება, საკარანტინო წესები კორონავირუსისგან **მსოფლიოს მოსახლეობის დასაცავი ზომები, თუ** ეს ზომები საჭიროა საყოველთაო პანიკის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანები არავითარ კითხვებს არ იძლეოდნენ და დაიჯერონ, რომ მათ საფრთხე ემუქრება და, საბოლოო ანგარიშით კი **იმისთვის, რომ ფარმინდუსტრია გამდიდრებულიყოს** — PCR-ტესტების, ანტისხეულების და ანტიგენების ტესტების, ვაქცინების გაყიდვით და, აგრეთვე, ჩვენი გენეტიკური მასალის შეგროვებით;

**მესამე, —** მართალია თუ არა, რომ გერმანიის ხელისუფლება, უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ხელისუფლება, განიცდიდა ე.წ. კორონაპანდემიის მთავარი იდეოლოგის, მისტერ **დროსტენის** (ვირუსოლოგი შარიტეს კლინიკიდან ბერლინში), მისტერ **ვილერის** (ვეტერინარი, ამერიკული CDC-ის ანალოგის, რობერტ კოხის ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც სიკვდილის მიზეზის ზუსტად დასადგენი მეთოდის — პათანატომიური კვლევის წინააღმდეგ გამოვიდა პანდემიის გამოცხადებისთანავე!) და მისტერ **ტედროსის** (ჯანმოს ხელმძღვანელი) ზეგავლენას, იმიტომ, რომ გერმანია, როგორც განსაკუთრებით დისციპლინირებული ქვეყანა,

> **500-მა გერმანელმა ექიმმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც ითქვა, რომ „კორონავირუსის პანდემია არის ფეიკი, ეს აფიორაა, მოტყუებაა, გლობალური დანაშაულია“.**
>
> **600-მა ესპანელმა ექიმმა განაცხადა: „კოვიდ-19 ფეიკ-პანდემიაა. ეს არის გლობალური დიქტატურის ძალით თავსმოხვევა სამედიცინო საბაბით. ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, შევაჩეროთ ეს დანაშაულებრივი ოპერაცია სიმართლის გავრცელებით“.**
>
> **ჰარვარდის, სტენფორდის და ოქსფორდის ეპიდემიოლოგებმა პეტიცია დაიწყეს ყოველნაირი ლოკდაუნების და შეზღუდვების შეწყვეტის მოთხოვნით, რასაც უკვე 1700-მა ექიმმა და მეცნიერმა მოაწერა ხელი.**

თავისი სიმკაცრით და, რაღა თქმა უნდა, წარმატებით კორონავირუსული წესების დაცვის მხრივ, ნიმუშად უნდა გამხდარიყო დანარჩენი მსოფლიოსთვის.

ეს კითხვები დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვენ, რადგანაც ანტიკორონავირუსული ზომები, რომლებსაც ერთადერთ საფუძვლად **დროსტენის შემუშავებული (SARS-CoV-2-თვის) PCR-ტესტების** შედეგები ედო, გახდა მიზეზი ბევრი ადამიანის დაღუპვის და უამრავი კომპანიის და კერძო პირის ეკონომიკის ნგრევისა მთელ მსოფლიოში!

ეს ინფექცია, უფრო ზუსტად, დადებითი PCR-ტესტები დაედო საფუძვლად მთელ მსოფლიოში შემოღებულ ლოკდაუნს, სოციალურ დისტანცირებას და პირბადეების სავალდებულო ტარებას. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ **ტერმინ „პანდემიის“ განმარტება 12 წლის წინ შეიცვალა.** ადრე პანდემიად ითვლებოდა ისეთი დაავადება, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედებოდა და ბევრ სერიოზულ ავადმყოფობას და მაღალ სიკვდილიანობას გამოიწვევდა. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჯანმომ მოულოდნელად შეცვალა იგი და ერთადერთი პირობა — დაავადების მსოფლიოში გავრცელება დატოვა, ბევრი სერიოზული ავადმყოფობა და სიკვდილიანობა პანდემიის გამოცხადებისთვის უკვე აღარ არის აუცილებელი პირობა. ამ ცვლილების წყალობით ჯანმომ, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ფარმინდუსტრიასთან, 2009 წელს „ღორის გრიპის“ პანდემია გამოაცხადა. დამზადდა ვაქცინებიც და, საიდუმლო გარიგებების საფუძველზე, რომელთა შესახებაც მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, გაიყიდა მთელ მსოფლიოში! დამტკიცებულ იქნა ამ ვაქცინების უვარგისობა, „ღორის გრიპი“ მსუბუქი გრიპი აღმოჩნდა და არა — ჭირი, როგორადაც მას წარმოაჩენდნენ ფარმინდუსტრია და მასზე დამოკიდებული უნივერსიტეტები (მათ შორის იყო ვირუსოლოგი დროსტენიც), რომლებიც მილიონების მოსალოდნელი სიკვდილით აშინებდნენ მსოფლიოს, თუ ადამიანები აცრებს არ ჩაიტარებდნენ. ამ ვაქცინებმა სერიოზული ზიანი მიაყენა ჯანმრთელობას — ევროპაში 700-მდე ბავშვი დაავადდა უკურნებელი სენით — ნარკოლეფსიით, ისინი სამუდამოდ დაინვალიდნენ!

გერმანელი ვირუსოლოგი **დროსტენი** იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინც 2009 წელს პანიკას თესდა და გამუდმებით იმეორებდა, რომ ღორის გრიპი მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა (გავიხსენოთ ჩვენი ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის **ლადო ჭიპაშვილის** ანალოგიური განცხადებები 2006 წელს „ქათმის გრიპის“ დროს). ამ სიცრუეს ბოლო დაუდო გერმანიის ბუნდესტაგის წევრმა და ევროპის საბჭოს ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესიით ექიმმა **ვოლფგანგ ვოდარგმა**. 2009-2010 წლებში იგი აცხადებდა, რომ „ღორის გრიპი“ ყალბი იყო, რომ ვაქცინებზე კარგად მოითბეს ხელი ფარმკომპანიებმა, და მოუწოდა, გამოეძიებიათ ჯანმოს და ფარმკომპანიების საქმიანობა.

2020 წლის მარტში, როდესაც გერმანიის ბუნდესტაგმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და ლოკდაუნის რეჟიმი შემოიღო (ძირითადი კონსტიტუციური უფლებების განუსაზღვრელი ვადით აყრით!), იგი ერთადერთი ადამიანის აზრს ემყარებოდა მხოლოდ, ეს გახლდათ ბ-ნი **დროსტენი,** რომლის 12 წლის წინანდელი პანიკური პროგნოზი კატასტროფულად ტყუილი იყო.

**რაინერ ფულიჩი:** „სულ უფრო მეტი და მეტი მეცნიერი და იურისტი აღიარებს, რომ განზრახ დანერგილი პანიკის და შემოღებული ანტივირუსული ზომების გამო, სერიოზული საფრთხე შეიქმნა იმისა, რომ დემოკრატია ფაშისტურმა ტოტალიტარულმა მოდელმა ჩაანაცვლოს. იმის გათვალისწინებით, რომ ანტიკორონავირუსულმა ზომებმა კატასტროფული ზიანი მიაყენა (რაც ამჟამადაც გრძელდება) ადამიანის ჯანმრთელობას და ეკონომიკას მთელ მსოფლიოში, **დანაშაული, რომელიც ჩაიდინეს მისტერ დროსტენმა, ვილერმა და ჯანმომ, საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსის 7 პარაგრაფით, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაული ჩადენილი კაცობრიობის წინააღმდეგ!**

## 7. დასკვნა

**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ჯანმოს შესახებ, რომელსაც გლობალისტების რუპორსაც ეძახიან, დამატებით უნდა მოგახსენოთ შემდეგი, რაც** კურჩატოვის ინსტიტუტის პრეზიდენტის, ფიზიკოს **მიხაილ კოვალჩუკის** 25 აგვისტოს გამოსვლიდან

დასასრული. დასაწყისი იხ. №155-167

# „კორონა“: ტესტები, პირბადეები, ვაქცინა და ზოგი რამ სხვაც...

(მოსკოვში გამართულ მრგვალ მაგიდაზე, თემა: „ფსიქოლოგიური თავდაცვა. ბრძოლა ისტორიისთვის — ბრძოლა მომავლისთვის“) შევიტყვე: ორმა ძმამ — **ალენ დალესმა** (ამერიკელი დიპლომატი, ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს დირექტორი) და **ჯონ დალესმა** (ამერიკელი პოლიტიკოსი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი პრეზიდენტ ეიზენჰაუერის დროს) ბანკირ **დევიდ როკფელერის** (გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინათ მეშვიდე(!) გადანერგილი გულით 101 წლის ასაკში) ფინანსური მხარდაჭერით შექმნეს **ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია** — არა ადამიანების სამკურნალოდ, არამედ იმისათვის, რათა კონტროლი დაეწესებინათ მსოფლიოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და გავლენა მოეხდინათ მასზე ვაქცინაციის და და მრავალი სხვა გზით. ორგანიზაციის პირველ პრეზიდენტად 1948 წელს დაინიშნა როკფელერის ახლო მეგობარი **ბროკ ჩისჰოლმი**. **„მსოფლიო მთავრობის** შესაქმნელად აუცილებელია, ადამიანების გონებიდან განიდევნოს მათი ინდივიდუალობა, ოჯახური ტრადიციებისადმი ერთგულება, ეროვნული პატრიოტიზმი და რელიგიური დოგმები... უნდა მოისპოს ჭეშმარიტების და სიცრუის ცნებები — ბავშვის აღზრდის საფუძველი, უნდა შეიცვალოს უფროსების გამოცდილებისადმი არსებული რწმენა რაციონალური აზროვნებით... აი, ის მისაღწევი მიზნები, რომლებიც საჭიროა ადამიანის ქცევის შესაცვლელად“! ვიცით რა ალენ დალესის გახმაურებული სიტყვის შესახებ (არ მომყავს, რადგან მართლაც ძალიან გახმაურებულია), ამის წამკითხავი იფიქრებს, რომ ეს ციტატაც მას ეკუთვნის და დიდად არ გაუკვირდება. მაგრამ ვინ იფიქრებს, რომ იგი **ჯანმრთელობის (!)** ორგანიზაციის პირველივე წლის, 1948 წლის მემორანდუმიდან არის ამოღებული და იგი მის პრეზიდენტს, ჩისჰოლმს ეკუთვნის! გლობალისტი ბანკირის მეგობარიც გლობალისტურად ფიქრობს ჩვენზე და ჩვენი შვილების მომავალზე. **ჩვენს ჯანმრთელობაზე ამგვარი „ზრუნვა“ 72 წლის წინათ დაუწყია, თურმე, ჯანმოს!** მსოფლიო ბატონობაზე ფიქრი ბევრად ადრე დაიწყეს გლობალისტებად წოდებულმა ადამიანებმა, მაგრამ ოფიციალურად შექმნილი საერთაშორისო ჯანმრთელობის(!) ორგანიზაციის ხელით, მხოლოდ 1948 წელს დაიწყო და პიკს, შეიძლება ითქვას, დღეს მიაღწია კორონავირუსის ყალბი, „ფეიკპანდემიის“ სახით. ძნელი სათქმელია, თუ რა დატრიალდება, როდესაც, ყველა „სიკეთესთან“ ერთად კისერშიც წაგვიჭერენ (სამსახურიდან დათხოვნის, აუცრელი შვილების სკოლაში არ მიღების, თვითმფრინავით მგზავრობაზე უარის თქმის მუქარით და ბევრი სხვა) და ჩვენს ძალადობრივ ვაქცინირებას გადაწყვეტენ! მერე კი დარწმუნდებიან ისინი, ვისაც „შეთქმულების თეორია“ ტვინნაღრძობი ადამიანების ფანტაზიის ნაყოფი ჰგონია, რომ ეს უკვე **კარგა ხანია, აღარ არის თეორია, რომ იგი ცხოვრებისეულ პრაქტიკად, მწარე რეალობადაა ქცეული!** სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღესაც ჭურში ზის კომფორტულად და იქიდან ამოსვლას არც აპირებს. ასეთ ადამიანებს რაც არ უნდა „დაუღეჭო“ პრობლემა და შეეცადო, აუხსნა, რაც ჩვენს ირგვლივ, საერთოდ, მსოფლიოში ხდება, მაინც ვერაფერს შეაგნებინებ, **თავისი არ იციან და სხვისი გაგონება კი არ სურთ** (ებრაული წყევლა მცირედი ცვლილებით).

ბერლინში ჩასულმა ცნობილი კენედების ოჯახის წარმომადგენელმა, მოკლული სენატორის შვილმა **რობერტ კენედი უმცროსმა** „კორონასკეპტიკოსების მარშის“ საპროტესტო მიტინგზე გამოსვლისას 29 აგვისტოს, ერთი ეპიზოდი გაიხსენა 75 წლის წინანდელი **ნიურნბერგის** პროცესიდან. როდესაც ჰიტლერის თანამებრძოლს, უმაღლესი კლასის ყოფილ სამხედრო მფრინავს **ჰერმან გერინგს** ჰკითხეს: „როგორ აიძულეთ გერმანელი ხალხი, შეგუებოდა ყველაფერ ამას (იგულისხმებოდა ფაშისტური რეჟიმი)“? გერინგმა უპასუხა: „ძალიან ადვილად, და ეს არ არის დაკავშირებული ნაციზმთან, ეს ადამიანის ბუნებასთან არის კავშირში. თქვენ შეგიძლიათ, ეს გააკეთოთ ნაცისტური რეჟიმის დროს, გააკეთოთ სოციალისტური, კომუნისტური რეჟიმების დროს, ეს შეგიძლიათ, გააკეთოთ მონარქიის და დემოკრატიის პირობებშიც. **იმისათვის, რათა ადამიანები მონებად აქციო, ერთადერთი, რაც ხელისუფლებას სჭირდება, ეს შიშის დათესვაა“**. და თუ თქვენ ისეთ რამეს მოიფიქრებთ, რაც მათ დააშინებს, თქვენ შეძლებთ, აიძულოთ ისინი, გააკეთონ ყველაფერი, რასაც კი მოისურვებთ“! უკეთესად, უფრო გასაგებად და ამომწურავად ვერც იტყვი!

კი, მაგრამ, — შემოგვედავება სკეპტიკოსი, ეს იყო ერთ სახელმწიფოში, გერმანიაში და, თანაც, ჰიტლერმა სულ რაღაც 4-5 წელიწადში ხელისუფლებაში მოსვლიდან, ფეხზე დააყენა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაჩოქილი, ვალებში ჩავარდნილი გერმანელი ერი, მოსპო უმუშევრობა, ინფლაცია, ალაგმა ბანკების ზღვარგადასული თავხედობა, დაამყარა წესრიგი და გერმანია ისევ პირველ სახელმწიფოდ აქცია ევროპაში! და, ომში გამარჯვების შემთხვევაში არავინ იცის, კიდევ რას გააკეთებდა იგი თავისი ხალხისთვის! ჰოდა, ის, რაც მსოფლიოში ხდება დღეს, როგორ შეიძლება გერმანიის 30-იან წლებს შევადაროთო. თანაც, სად ერთი სახელმწიფო და სად მთელი მსოფლიო, 200-ზე მეტი სახელმწიფოო! **ვის შეუძლია მთელი მსოფლიოს დაშინება,** — კი, მაგრამ განა უმიზეზოდ არიან შეშინებული ყველანი დღეს? **ამდენი დაავადებული და გარდაცვლილიც ტყუილია?!** ყოველდღიურად რომ ემატება და ემატება „გამოვლენილი“, „დადასტურებული“, „ინფიცირებული“ („მკვლელი ვირუსისგან“) ადამიანი, ტყუილია ? ყველას გვატყუებენ?!

**დაღებითი PCR-ტესტები დაედო საფუძვლად მთელ მსოფლიოში შემოღებულ ლოკდაუნს, სოციალურ დისტანცირებას და პირბადეების სავალდებულო ტარებას. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ტერმინ „პანდემიის“ განმარტება 12 წლის წინ შეიცვალა. ადრე პანდემიად ითვლებოდა ისეთი დაავადება, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედებოდა და ბევრ სერიოზულ ავადმყოფობას და მაღალ სიკვდილიანობას გამოიწვევდა. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჯანმომ მოულოდნელად შეცვალა იგი და ერთადერთი პირობა — დაავადების მსოფლიოში გავრცელება დატოვა, ბევრი სერიოზული ავადმყოფობა და სიკვდილიანობა პანდემიის გამოცხადებისთვის უკვე აღარ არის აუცილებელი პირობა.**

აბსოლუტურად სწორი მსჯელობაა, თუმცა დაავადებულებს და გარდაცვლილებს რაც შეეხება, ზემოთ საკმარისად და, ვფიქრობ, ფაქტებითაც ვილაპარაკე მათზე და ძნელი გასაგები არ უნდა ყოფილიყო მკითხველისთვის გაბერილი რიცხვების წარმომავლობა. ამიტომ აღარ განვმეორდები, მხოლოდ ერთს დავამატებ — გერინგის ნათქვამში პრინციპია აბსოლუტურად სწორი (ფაქტად ქცეული ამ სისწორის მოწმენი, დღეს ყველანი ვართ) ამიტომ საკითხავი რჩება მხოლოდ ერთი, თუ ვის (არა კონკრეტულად, არამედ, — ზოგადად) შეუძლია ამ პრინციპის განხორციელება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, **ვის ხელეწიფება გლობალური დაშინება?** ამ **ზოგადად** დასმულ, თითქოს, რთულ კითხვას სხვა პლანეტიდან მოსულიც ადვილად გასცემს პასუხს: იმას, ვისაც ხელთ უპყრია პლანეტის მართვის მთავარი სადავე — ფინანსები, ანუ ვისაც ფულის საბეჭდი მანქანა გააჩნია, სხვა დანარჩენი (ჯანმო, გაერო, პრესა, რადიო, ტელევიზია, ელექტრონული მედია, სასამართლო და ყველაფერი სხვა), როგორც ებრაელები ამბობენ, **პრობლემა არ არის, — მხოლოდ ხარჯია!**

**დაკონკრეტებას** უკვე შესაბამისი ინფორმაცია ესაჭიროება, თუმცა, არც ეს არის ძნელი მოსაპოვებელი. დოლარის საბეჭდ მანქანას, ანუ **ფედერალურ სარეზერვო სისტემას, საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს ტრილიონების(!) მქონე რვა ოჯახი ფლობს: 1. როტშილდები** (პარიზი, ლონდონი), **2. როკფელერები** (ნიუ-იორკი), **3. გოლდმან საქსი** (ნიუ-იორკი), **4. ქიუნ ლობსი** (ნიუ-იორკი), **5. ვარბურგები** (ჰამბურგი), **6. ლიმანები** (ნიუ-იორკი), **7. ლაზარები** (პარიზი) და **8. ისრაელ მოზეს სეიფსი** (რომი).

ფანტასტიკური სიმდიდრის საშუალებით ამ ოჯახებმა არანაკლებ ფანტასტიკური ზეგავლენა მოიპოვეს მთელ მსოფლიოზე (ცხადია, არა ერთ წელიწადში და, — არც ერთ საუკუნეში!). დარწმუნებული ვარ, ძალიან ცოტას ეცოდინება იმის შესახებაც, რომ **პლანეტის ყოველი სახელმწიფოს ცენტრალურ (!) ბანკს** (ჩვენთან „ეროვნულს“ რომ უწოდებენ) ეს ოჯახები **აკონტროლებენ!** მხოლოდ სამადსამი(!) სახელმწიფო — **ჩრდილოეთ კორეა, სირია და ირანი** ვერ დაიქვემდებარეს მათ (გლობალისტების მიერ ამ სახელმწიფოების „მიზანში ამოღების“ მთავარი მიზეზიც სწორედ ეს დაუმორჩილებლობაა!).

ეს ფაქტებიც რომ არ გვცოდნოდა, სხვა გზითაც, ყველასთვის ცნობილ კითხვაზე პასუხითაც შეიძლებოდა სწორ დასკვნამდე მისვლა: ვინ მოითბო ხელი კორონაპანდემიაზე, ვის აწყობს იგი? რა თქმა უნდა, მხოლოდ იმათ, ვინაც არა მილიონები, არამედ ასეულობით მილიარდი (ტრილიონებსაც ასახელებენ!) იშოვა — ისევ და ისევ ამ ოჯახების მსოფლიოს მოდებულმა ფართო ქსელმა!

ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა, ზემდიდარი ტრილიონერი ოჯახების (რომლებიც **ფორბსის** მდიდარი ადამიანების სიაში არასოდეს არ შეჰყავთ!) დღევანდელი უმთავრესი მიზანი (ფულის კეთების პარალელურად, ცხადია!) — ეს არის მათ დაქვემდებარებაში არსებული მსოფლიო ბანკის **„კოვიდ-19-ზე რეაგირების და სტრატეგიული მზადყოფნის პროგრამის“** შესრულება — იგი 5-წლიანია და 2020 წლის 2 აპრილიდან 2025 წლის 31 მარტამდე პერიოდს მოიცავს. დაწვრილებითი სამოქმედო გეგმა კი ასეთია: იზოლაცია, ტესტირება, ვაქცინირება, მოქალაქეებზე თვალთვალის დაწესება ყველა სახელმწიფოში მათზე იძულებითი ზემოქმედების ზომების გამოყენების ჩათვლით!

**ასე რომ, ხუთი წელი ყურადღება არ მოგვაკლდება — არც კოვიდი, არც ტესტები, არც პირბადეები და არც სხვა სიკეთეები! არც ჩვენ და არც არავის მსოფლიოში!**

დასკვნა აღარ არის ძნელი გასაკეთებელი **— შეგნებულად მიმდინარეობს არნახული მასშტაბის სიცრუის გავრცელება, ხალხის გაბითურება, შიშის და ფსიქოზის დათესვა,** რისი განხორციელებაც მხოლოდ ზემოთ ნახსენებ რვა ოჯახს (თუნდაც, რვაჯერ ათი ან რვაჯერ ასი იყოს!) ხელეწიფება; ვისაც მსოფლიოს მოსახლეობის (ერთი მილიარდის გამოკლებით!) აცრა და გადაშენება აქვს დასახული მიზნად და, ფარისევლურად კი გაცხადებული, — აქაოდა, ხალხზე ზრუნვა, კეთილი სურვილები მამოძრავებსო!

ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, — პანდემიის, ლოკდაუნის, პირბადეების და სხვა შეზღუდვების მომგონი კაცთმოძულე **გლობალისტები სიცილისგან იფხრიწებიან, როდესაც ამ დამყოლ, გულუბრყვილო და მშიშარა ხალხს უყურებენ, თუ როგორ მორჩილად, მართლა ცხვრებივით მიუყვებიან ისინი საკუთარი თავის დასასამარებელ, უფსკრულისკენ მიმავალ გზას და, ალბათ, ცინიკურად ფიქრობენ კიდეც: ასეთი ხალხი მართლაც გადასაშენებელიაო!**

„ახლა, როცა თქვენ ამ სტრიქონებს კითხულობთ, **ადამიანებზე გენეტიკური ვაქცინის გამოცდა მიმდინარეობს,** საშინელი საფრთხე, რაც ათასობით მოხალისეებისგან დამალულია! ჩვენ მოწმენი ვართ ჩვენი მემკვიდრეობის დაცემის და ნგრევის, განათლების ეპოქის დასასრულის! **უნდა გაიღვიძოს პლანეტის Homo Sapiens-მა, უნდა აღსდგეს და გაამართლოს თავისი სახელი, და წერტილი დაუსვას ამ უაზრო თვითგანადგურებას“,** — გვაფრთხილებენ ბაკდი და რაისი.

ამ თემის ირგვლივ მოძიებული დოკუმენტური მასალა შოკისმომგვრელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, უმრავლესობა მაინც გაიძახის: არა, ეს შეუძლებელია, ასეთი ადამიანების არსებობა წარმოუდგენელია, შეთქმულების თეორიების მე არ მჯერა!

**„ადამიანი იმდენად საშინელ შეთქმულებასთან არის პირისპირ ჩაყენებული, რომ იგი უარს ამბობს, დაიჯეროს მისი არსებობა“!** ეს სიტყვები ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს (FBI) დირექტორს 48(!) წლის მანძილზე (1924-1972 წლებში) **ედგარ ჰუვერს** ეკუთვნის.

არც მისი გჯერათ?!

დაჯერება—არდაჯერება თითოეულის ნებაა, მაგრამ ასეთ შემთხვევებზე ერთი ებრაული წყევლა მახსენდება: **„შენი არ გაცოდინა და სხვისი არ გაგაგონა“!**

ტრადიციული ბოლო კითხვა: **სად არის გამოსავალი,** გვეშველება რამე? ოღონდ, ამჯერად არა მარტო ჩვენ, — ეს ხომ ცნობილია — თუ, მომავალი 30 წელი ისეთივე „დამოუკიდებლები“ ვიქნებით, როგორც,გასულ 30-ში ვიყავით, ზუსტად ისევე გვეშველება, როგორც აქამდე გვეშველა და, 2050 წლისთვის, გაეროს პროგნოზით გადაშენებისთვის უნდა „მოვემზადოთ“!

**დღეს მთელი მსოფლიოა ცუდ დღეში. უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ ვინ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში 3 ნოემბერს — ისევ რესპუბლიკელთა ნამდვილი ლიდერი — ტრამპი, რომელმაც მმართველობის პირველი ვადის სამ(!) წელიწადში გასაოცარ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის აღმავლობის და უმუშევრობის რეკორდულ დონემდე შემცირების თვალსაზრისით (რისი მსგავსიც კი არ ყოფილა წინამორბედი 10 პრეზიდენტის ორ-ორვადიანი მმართველობის პირობებშიც კი!), თუ გლობალისტ-ლიბერასტი დემოკრატების ფიქტიური ლიდერი, მარიონეტი ბაიდენი. კაცობრიობის ბედიც დიდწილად ამაზე იქნება დამოკიდებული.**

განუსაზღვრელი რაოდენობის ფულის და ძალაუფლების მქონე გლობალისტების ძალასთან (გლობალისტებს დავარქმევთ მათ, მსოფლიო მთავრობას, ღრმა სახელმწიფოს თუ ეშმაკის მოციქულებს, მნიშვნელობა არა აქვს) დაპირისპირება და მათი დამარცხებაც მსოფლიოში მხოლოდ ერთადერთ, **კარგად შეიარაღებულ(!) ამერიკელ ხალხს ხელეწიფება ჭეშმარიტი ამერიკელის ტრამპის წინამძღოლობით!**

მხოლოდ შეიარაღებული ამერიკელი ხალხის (და ტრამპის!) ეშინიათ გლობალისტებს და, ამიტომაც იბრძვიან ისინი, რამდენიმე ათეული წელია კონსტიტუციის მეორე შესწორების გასაუქმებლად — ხალხისთვის იარაღის ჩამოსართმევად და ამ მიზნის მისაღწევად ყველანაირ პროვოკაციაზე მიდიან, მაგრამ, — უშედეგოდ, ამერიკელი ხალხი კბილებით (მის ხელთ არსებული 600 მილიონამდე ერთეული იარაღით!) იცავს წინაპრების მონაპოვარს, მისი თავისუფლების ამ უტყუარ გარანტს. მან კარგად იცის, რომ **ხელისუფლებას ხალხის სიტყვა კი ესმის, მაგრამ იარაღით გამაგრებულ სიტყვას ბევრად უკეთესად იგებს!**



**იაკობ ლეჟავა,**
(ტელ: 593-55-04-00)



## დედის რძე კორონავირუსის ანტისხეულებს შეიცავს

**მეძუძური დედის რძე შესაძლოა, ეფექტური აღმოჩნდეს კოვიდ 19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში და შეიცავდეს SARS-COV-2-ის ინფექციების საწინააღმდეგო ანტისხეულებს, — ამის შესახებ აღნიშნულია სამეცნიერო ჟურნალ SCIENTIST-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.**

**აღნიშნულ კვლევაში გაცხადებულია, რომ ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა დედის რძეში ცხადყოფს იმას, რომ მშობელი შესაძლოა ანტივირუსულ იმუნიტეტს გადასცემდეს ახალშობილებს,** — ამის შესახებ ინფორმაციას კალიფორნიის უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგი კრისტინ ჩემბერსი აცხადებს.

**„დედის რძეში არსებული ანტისხეულები სასარგებლო იქნება არა მარტო ახალშობილების ინფექციისგან დასაცავად, არამედ რძიდან ამოღებული ანტისხეულები სავსებით შესაძლებელი იქნება, რომ გამოყენებული იქნას, როგორც კოვიდ 19-ის ეფექტური სამკურნალო საშუალება“,** — წერია ზემოხსენებულ სტატიაში. მეცნიერები ფიქრობენ, რომ სისხლიდან მიღებულმა ანტისხეულებმა შესაძლოა, თვეობით გაძლოს.

**დიპლომატები დენიელ ფრიდი და ალექსანდერ ვერშბოუ მსჯელობენ, როგორი უნდა იყოს დასავლეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ. დიპლომატები ფიქრობენ, რომ 1980-იანი წლების შემდეგ, ახლა აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობები ყველაზე დაბალ ნიშნულზეა. ფრიდისა და ვერშბოუს ანგარიში, დასავლეთს ერთგვარ სახელმძღვანელოს აძლევს, რა ტრაექტორიით უნდა წარმართოს რუსეთთან ურთიერთობა. „ატლანტიკური საბჭოს“ ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე ნატოს გენერალური მდივნის ყოფილმა მოადგილემ ალექსანდერ ვერშბოუმ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში უკრაინასა და საქართველოს წევრობისთვის ახალი სტატუსის შექმნის იდეაზეც ისაუბრა. ვერშბოუ ხაზგასმით ამბობს, რომ მოსკოვთან სამომავლო უკეთესი ურთიერთობების სამსხვერპლოზე, დასავლეთმა რუსეთის მეზობელი ქვეყნები არ უნდა შეწიროს. დიპლომატი ამბობს, რომ დასავლეთი საქართველოს, უკრაინასა და ახლა უკვე ბელარუსს, საკუთარი სუვერენიტეტის დაცვაში უნდა დაეხმაროს.**




## იდეა საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის

# „ასოცირებული წევრის სტატუსი“

### ისტორია, როგორც ბედისწერა

ნატოს გენერალური მდივნის ყოფილი მოადგილე, ალექსანდერ ვერშბოუ, რომელიც მანამდე, 2001-2005 წლებში, რუსეთში აშშ-ის ელჩი იყო, ფიქრობს, რომ დასავლეთმა რუსეთთან ურთიერთობების განსაზღვრისას, უკრაინისა და საქართველოს ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს. ვერშბოუ იხსენებს უკრაინაში მომხდარი ნარინჯისფერი რევოლუციის პერიოდს და ამბობს, რომ ეს ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი აღმოჩნდა ვლადიმირ პუტინისთვის, რომელიც მაშინ ამერიკას უკრაინის „მოპარვაში“ სდებდა ბრალს. ვერშბოუ ფიქრობს, რომ პუტინმა სწორედ ამის შემდეგ გააძლიერა ძალისხმევა, დემოკრატიული ცვლილებებით, რუსეთის „ინფიცირების“ შესაჩერებლად.

**„ამ მომენტიდან, ვლადიმირ პუტინი დარწმუნდა, რომ დასავლეთს არა პარტნიორობა, არამედ რეჟიმის ცვლილება სურს და რუსეთის გლობალურ სცენაზე მარგინალიზაციას ცდილობს. სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რის გამოც ბუშისა და ობამას ადმინისტრაციების დროს გადატვირთვა ჩავარდა და რის გამოც, ტრამპის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა ბევრად უკეთ განვითარდა.**

**ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ამჟამინდელი ურთიერთობა რუსეთთან იმდენადვე ცუდია, როგორიც ეს ცივი ომის დასაწყისში იყო, შესაძლოა უარესიც კი. სულ უფრო ნაკლები დაცვის მექანიზმები რჩება კონკურენციის სამართავად და შეიარაღებული კონფლიქტების ესკალაციის პრევენციისთვის“,** — ამბობს დიპლომატი.

ვერშბოუ ფიქრობს, რომ დასავლეთი ისტორიას არ უნდა მიუდგეს, როგორც ბედისწერას. ის ამბობს, რომ არასწორია კრემლთან იმ მოსაზრებით მიდგომა, თითქოს ავტორიტარულ მმართველობაში ცხოვრება, რუსულ გენეტიკურ კოდში დევს. ამისთვის, არგუმენტად 1980-90-იანი წლების რუსეთი მოჰყავს და ამბობს, რომ რუსეთში მაშინ დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ნამდვილი მოძრაობა იყო.

**„დისიდენტობა მეინსტრიმად იქცა და შთამბეჭდავი ის იყო, რომ რეფორმებისა და დემოკრატიზაციის იდეები, თავად კომუნისტური პარტიის რიგებიდან მოდიოდა. თუმცა ეს მცდელობა, რიგი მიზეზების გამო, წარუმატებელი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, პუტინი არასდროს იზიარებდა დასავლურ ღირებულებებს. პუტინის სისტემური ძალისხმევა დემოკრატიული ინსტიტუტების აღსაკვეთად წარმატებული აღმოჩნდა. ეს დაიწყო დამოუკიდებელი მედიის, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლით, ოპონენტების დაკავებითა და მოწამვლით“,** — ამბობს ვერშბოუ.

ნატოს გენერალური მდივნის ყოფილი მოადგილე ფიქრობს, რომ ხაბაროვსკსა და მინსკში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ცვლილებების სურვილზე მიანიშნებს, რომელიც მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდება. მაგრამ, როგორ უნდა იმოქმედოს ამ პროცესების პარალელურად დასავლეთმა?

**„არ იჩქაროთ“ — ეს არის დიპლომატის პირველი რეკომენდაცია დასავლეთისადმი...**

**„ჩვენი პრინციპების ხარჯზე, ნუ შეეცდებით პუტინთან დიდი გარიგებების დადებას. მოსკოვთან უკეთესი ურთიერთობების სამსხვერპლოზე, ნუ შესწირავთ სხვა ქვეყნებს. წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ რუსულ აგრესიას ყველა სფეროში, ნატოს გაძლიერების საშუალებით. პოლიტიკური ჩარევისგან თავის დაცვასა და კიბერუსაფრთხოების შექმნაში, უნდა დავეხმაროთ უკრაინას, საქართველოსა და ახლა უკვე ბელარუსს, რათა დაიცვან საკუთარი სუვერენიტეტი. რუსეთის აგრესიული ქცევის საწინააღმდეგოდ, უნდა გავზარდოთ ხარჯები. მაგრამ, ამ ყველაფრის თქმისას, ჩვენ ასევე ვიცით, რომ აქ არ არსებობს სწრაფი გაუმჯობესების პერსპექტივა. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა ვიყოთ მომთმენნი და მტკიცე ჩვენი პრინციპების დაცვაში. პუტინი, ხელისუფლებაში შესაძლოა კიდევ 10, 16 ან მეტი წლის განმავლობაში დარჩეს და მან აირჩიოს პოლიტიკური კონტროლის შენარჩუნება იმ ნარატივის გაგრძელებით, რომ დასავლეთმა რუსეთის დამარცხება გადაწყვიტა და უარყო მისი ღირსეული ადგილი მსოფლიოში.**

**ამიტომ, ურთიერთობის სტაბილიზება, ახლო პერიოდში, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიყოთ პასიურები და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული. ჩვენი რჩევაა, როდესაც ჩართულები ვართ რუს პოლიტიკურ ლიდერებთან, ოფიციალურ პირებთან, ასევე უნდა დავუკავშირდეთ რუსულ სამოქალაქო საზოგადოებას, განსაკუთრებით, ახალ თაობას. შესაძლოა, ეს უფრო გართულდეს, როცა რუსეთში ოპოზიციურ ლიდერებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს უცხოეთის აგენტებად ნათლავენ. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ ახალ გზებზე, რათა ჩამოვიყვანოთ რუსეთის მეტი ახალგაზრდა მოქალაქე ამერიკასა და ევროპაში. საპასუხოდ უნდა ვიბრძოლოთ საინფორმაციო სივრცეში, რათა ნათელი გავხადოთ დასავლეთის მიზნები. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი რეკომენდაციები სასარგებლო იქნება ახალი ადმინისტრაციისთვის და ასევე იმედი მაქვს, რომ ეს რეკომენდაციები საფუძველი იქნება ტრანსალტლანტიკური სტრატეგიისა, რათა, ადრე თუ გვიან, მტრობა უფრო კონსტრუქციულ ურთიერთობად იქცეს“** — აცხადებს ვერშბოუ.

### შექმნა თუ არა პუტინი დასავლეთმა?

**„რუსეთის საკითხებზე მომუშავე დასავლელი სპეციალისტები ყოველთვის ამბობენ, რომ რუსეთი არასდროს იქნება იმაზე ბევრად უკეთესი, ვიდრე ახლაა. ამიტომ გვირჩევენ, ვიმოქმედოთ რუსეთთან, როგორიც ის არის. ამ რჩევის მიღება ძალიან რთულია, რადგან რუსეთი ეს არის ავტორიტარული კლეპტოკრატია, რომელიც ძალაუფლების შესანარჩუნებლად პოლიტიკურ მკვლელობებს, ატორიტარულ ტაქტიკებს იყენებს მეზობლების დასამორჩილებლად. ასევე, თავს ესხმის დემოკრატიას ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ყველაფერი არ არის კარგი საფუძველი, მასთან მდგრადი ურთიერთობისთვის. მაგრამ, არსებობენ ანალიტიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამ ყველაფერში წვლილი ჩვენც მიგვიძღვის. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთმა, ხელი შეუწყვეს რუსეთის გაუცხოებას. ამიტომ, პუტინის რუსეთის შექმნა, გარკვეულწილად ჩვენი პასუხისმგებლობაცაა“,** — ამბობს დენიელ ფრიდი.

ფრიდი მსჯელობს, რამდენად შორს წავიდა პუტინის რუსეთი და რამდენად წარმატებულია მასთან გამკლავებისას დასავლეთი. მიუხედავად იმისა, რომ „პუტინიზმის“ შექმნაში დიპლომატი დასავლეთის გარკვეულ როლსაც ხედავს, ის ამბობს, რომ პუტინის რუსეთი ტრავმამ შქმნა, რომელიც თავის მხრივ, არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის კოლაფსმა, არამედ იმპერიის ჩამოშლამაც გამოწვია.

**„არსებობს მითი, რომ ჰიტლერი, როგორღაც, ევროპამ შექმნა, — გერმანიის მიმართ გატარებული პოლიტიკით. ასევე, არსებობს მითი, შეხედულება, რომ დასავლეთს ასეთივე მიდგომები ჰქონდა პოსტსაბჭოთა რუსეთის მიმართ. თუმცა, თუ პუტინის ადრეულ წლებს, კლინტონისა და ბუშის ადმინისტრაციების მიდგომებს გადავხედავთ, საქმე მთლად ასე არაა. მაშ, რა არის პრობლემა, სად დავუშვით შეცდომა?**

**საქმე ისაა, რომ რაც რუსეთში მოხდა, ამაში ჩვენი ბრალეულობა არ არის. ეს წლების განმავლობაში, ცუდი რუსული პოლიტიკის, რუსული ავტორიტარიზმის დილემაა, რომელიც ასუსტებს რუსულ ეკონომიკას და თავად რუსეთს. ამის საკომპენსაციოდ, სუსტი რუსეთის ლიდერები აგრესიის გზას მიმართავენ — როგორც მოსაზღვრე ქვეყნების წინააღმდეგ, ასევე დასავლეთის, დასავლური იდეების, დემოკრატიების წინააღმდეგ. მეფე ნიკოლოზი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სამხედრო ძალა გამოიყენა ლიბერალური იდეებისგან რუსეთის დასაცავად.**

**ამ წრის გარღვევა გორბაჩოვმა სცადა, შემდეგ ელცინმა. ორივემ მარცხი განიცადა. მარცხის მიზეზი კი ნგრევის ტრავმა იყო, ტრავმა, გამოწვეული არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის კოლაფსის, არამედ რუსული იმპერიის, რა სახითაც ის მე-17 საუკუნის შუა წლებში არსებობდა. ეს ტრავმა მხრებზე ელცინს დააწვა.**

**განწირულები ვართ პუტინიზმისა და დაუსრულებელი მტრული ციკლისთვის? — არა. ცოტა ხნის წინ, რუსი პოლიტიკური ანალიტიკოსი ვლადიმირ ფროლოვი წერდა, რომ რუსეთმა საკუთარ თავს გადააჭარბა ფსონის დონალდ ტრამპზე დადებით, როცა ოვალურ კაბინეტს ჯო ბაიდენი იკავებს. მათ იციან, რომ რუსეთმა გადააჭარბა და მზად არიან, უკეთეს მომავალზე იფიქრონ“,** — ამბობს დიპლომატი.

### რუსეთი ნატოში

**გასული საუკუნის 1980-90-იანი წლების რუსეთის პერსპექტივებზე საუბრობს დოქტორი სელესტ ვოლანდერი.** ვოლანდერი ფიქრობს, რომ ელცინის ხელისუფლების წარუმატებლობაში, გარკვეული როლი ნატო-რუსეთის ურთიერთობებმაც შეასრულა.

**„1980-90-იანი წლებში, რუსეთისთვის ჩანდა შესაძლებლობა, რომ ყოფილიყო თანამედროვე ლიბერალიზმში ინტეგრირებული. თუმცა, რუსეთმა ამ გზას გადაუხვია და მივიღეთ ის, რასაც პუტინიზმს ვუწოდებთ. პუტინიზმისთვის საფრთხეს ლიბერალიზმი წარმოადგენს. 1990-იანი წლები, ეს იყო იმედის ერა და არა შეთქმულების თეორია, ან სტრატეგია რუსეთის დასუსტებისთვის. ვფიქრობ, რომ ელცინის ხელისუფლების წარუმატებლობაში გარკვეული როლი ნატო-რუსეთის ურთიერთობამ შეასრულა. რა თქმა უნდა, ეს უპირველეს ყოვლისა, რუსეთის პასუხისმგებლობაა, მაგრამ ვფიქრობ, არსებობდა ნება, რომ ნატოს წევრობისთვის რუსეთისთვის კარი ღია ყოფილიყო. მაგრამ, ღია კარის ეს პოლიტიკა, 1990-იანი წლების რუსული საგარეო პოლიტიკის შემქნელებისთვის, პრაქტიკულ, ფაქტობრივ მოცემულობად არ აღიქმებოდა“,** — ამბობს ვოლანდერი.

დიპლომატი დენიელ ფრიდი იხსენებს, აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისსა და რუსეთის ყოფილ თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს შორის გამართულ დიალოგს. ფრიდის თქმით, ივანოვმა რაისს უთხრა, რომ რუსეთი არ არის დაინტერესებული ნატოს წევრობით.

**„რუსეთის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ბუშის ადმინისტრაციის ადრეულ წლებში, მე ვუთხარი კონდოლიზა რაისს, რომ ამ საკითხს კონცეპტუალურად უნდა მივყვეთ. დაე, რუსებმა იცოდნენ, რომ ნატოში მათი წევრობა შესასძლებელია. რაისი სკეპტიკურად განეწყო. თუმცა, რამდენიმე კვირის შემდეგ ის მირეკავს და მეუბნება, „კეთილი, იდეა სერგეი ივანოვთან გავაჟღერე. მან მითხრა, რომ არ არიან დაინტერესებულნი ნატოს წევრობით.“**

**„ჩვენ არ ვართ დაინტერესებული ორგანიზაციის წევრობით, სადაც ლატვიასთან თანაბარი პოზიცია გვექნება და აღარასდროს გვკითხო ამის შესახებ“ — უთხრა ივანოვმა რაისს“,** — იხსენებს დენ ფირიდი.

### საქართველოსა და უკრაინის მომავალი ნატოში

„ატლანტიკური საბჭოს“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, ნატოს გენერალური მდივნის ყოფილმა მოადგილემ ალექსანდერ ვერშბოუმ განაცხადა, რომ უკრაინასა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის, შესაძლოა უპრიანი იყოს ახალი სტატუსის შექმნა, მაგალითად, ასოცირებული წევრის სტატუსისა!

**„ნატოში რუსეთის წევრობის საკითხი, სერიოზულად იყო განხილული კლინტონსა და ელცინს შორის. თუმცა, საქმე ამაზე შორს არასდროს წასულა. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ შესაძლებელია ამ საკითხს რაიმე ფორმით დავუბრუნდეთ. მაგალითად, უკეთესი სამოქალაქო ურთიერთობა ნატოსა და რუსეთს შორის, რათა არ ჰქონდეთ განცდა, რომ ნატო-რუსეთის პარტნიორობა მხოლოდ ფასადური მიდგომაა. ეს შეიძლება გაკეთდეს ერთგვარი ყოვლისმომცველი მეთოდით. თუ რას ვაკეთებთ უკრაინასა და საქართველოს წევრობისკენ სწრაფვის შესახებ: ჩვენ პირობა დავდეთ, რომ უკრაინა და საქართველო ნატოს წევრები გახდებიან, მაგრამ ვერ გავითვალისწინეთ, როგორ შეიძლება მივაღწიოთ ამას. შესაძლოა, ეს მოხერხდეს რაიმე ახალი, ასოცირებული წევრის სტატუსის შექმნით, უკრაინისთვის და საქართველოსთვის“,** — განაცხადა ვერშბოუმ.

**ქართლოს შარაშენიძე,**
**„ამერიკის ხმა“**

**2017 წლის 24 მაისს, მუცლის ტკივილით, სასწრაფო დახმარების მანქანით მივიყვანეთ, პენსიონერი ჯემალ ქარაზანიშვილი ტიტულოვან საავადმყოფოში შპს „აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში“ (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო), ავადმყოფს დაუსვეს დიაგნოზი: პერიტონიტი მწვავე დესტრუქციული ქოლეცისტიტი“. იმავე საღამოს ქირურგებმა ზვიად ძნელაძემ და კაკო გუგულაშვილმა გაუკეთეს ნაღვლის ბუშტის სასწრაფო ოპერაცია გაჭრით, არც ოპერაციამდე და არც ოპერაციის შემდეგ არ შეუმოწმებიათ ასაკოვანი კაცის გული და ფილტვები. ოპერაციის შემდეგ ავადმყოფი ვერ სუნთქავდა, სიცხეები ჰქონდა. „ქირურგები“ ეუბნებოდნენ — ახალი ნაოპერაციები ხარ და გაგივლისო და ავადმყოფი ასეთ მდგომარეობაში გამოწერეს. მანამდე კი პაციენტის ბიძაშვილმა, მურმან კიკვიძემ, „აკადემიურმა დოქტორმა“ გაუსინჯა თავის მამიდაშვილს ჯ. ქარაზანიშვილს ფილტვები ფონენდოსკოპით ისე, რომ ავადმყოფს არ უთხოვია გამსინჯეო. მ. კიკვიძემ უთხრა „ფილტვები კარგიაო“, ასე დააიმედა თავისი მამიდაშვილი ჯ. ქარაზანიშვილი. გამოუწერა წნევის დამწევი და პულსის დამწევი შეცდომით (რეცეპტები ხელთ მაქვს), წინდახედულმა „მცოდნე დოქტორმა“ არ გააკეთა ჩანაწერი. ჩემს წუხილზე — ვერ სუნთქავს, სიცხე აქვს-მეთქი, შემომიტია „არ მოკვდებაო“. ასე შეცდომაში შეიყვანა ჯ. ქარაზანიშვილი და გაუშვა სახლში. სახლში ავადმყოფს უფრო გაურთულდა მდგომარეობა და ისევ სასწრაფოს მანქანით წავიყვანეთ იგივე საავადმყოფოში, სადაც მორიგე, ისევ „ქირურგი“ ზვიად ძნელაძე დაგვხვდა. ავადმყოფს უფრო უარესი დიაგნოზი დაუდგინეს: „ფილტვების არტერიების თრომბოზული ემბოლია“.**



# ერიდეთ უცოდინარ ექიმებს!

* * *

მუცლის ტკივილით საავადმყოფოში მიყვანილი კაცი ისე დაამძიმეს, რომ რეანიმაციაში დააწვინეს, საიდანაც სამი დღის შემდეგ რეანიმაციის ულმობელმა, უგულო კარდიოლოგმა მამუკა ქობალავამ უმძიმესი ავადმყოფი ჯ. ქარაზანიშვილი პალატაში გადაიყვანა. ჩემს ტირილს და ხვეწნას, ნუ იზამ, ნუ გაიყვან რეანიმაციიდან-მეთქი, მან გაბრძანდით აქედანო, გამომაგდო. მან სხვას გაუთავისუფლა ადგილი და ჯ. ქარაზანიშვილი იმიტომ გაიყვანა პალატაში. რემდენიმე საათის შემდეგ კი უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ავადმყოფი ისევ დააბრუნეს რეანიმაციაში, მაგრამ რაღა დროს! მამუკა ქობალავა სადღაც გაქრა, წავიდა. რეანიმაციის მორიგე „ექიმმა“ ანი ჭიპაშვილმა და მისმა ექთანმა კაცმა მძიმე ავადმყოფს, რომელსაც ცხვირ-პირზე ჟანგბადის „ჩაშკა“ ეფარა, ისე მჭიდროდ შემოახვიეს თავზე და ცხვირპირზე, რომ როგორღა ისუნთქებდა! ჩემს ტირილზე, რას შვრებით, ეგრე ხომ ველარ ისუნთქებს-მეთქი, იმათაც გარეთ გამომაგდეს. ვეგდე დერეფანში იატაკზე, ცხარე ცრემლებით ვტიროდი, მშველელი არავინ იყო, არავინ. და აი, ასე უპატრონოდ, უპასუხისმგებლოდ, შეუბრალებლად, იმავე საღამოს, 2017 წლის 6 ივნისს სული გააფრთხობინეს. ასე ამოხადეს სული უდანაშაულო, ასაკთან შედარებით ჯანმრთელ კაცს ჯ. ქარაზანიშვილს, რომელიც მუცლის ტკივილით საშველად მივიყვანეთ ამ საავადმყოფოში და კაცი მოკლეს, მკვლელობაში ფული აიღეს დაზღვევიდან და ჩვენც გადაგვახდევინეს (ორდერი №1504, ქვითარი მაქვს).

ეს არის ძალიან მოკლედ მოთხრობილი „უცოდინარი ექიმების“ მიერ ჩადენილი მკვლელობის ფაქტი. უფრო ვრცლად დავწერე წერილები, იგივე სათაურით ამავე გაზეთის ნომრებში. დავწერე თხოვნა-განცხადებები ჯანმრთელობის მინისტრის სერგეენკოს სახელზე: №77594 — 26.07.2017წ; №90190 — 07.09.2017 წ.; №8270 — 21.08-2018 წ.; ვითხოვდი პასუხს, რატომ მოკლეს „ექიმებმა“ უდანაშაულო კაცი ჯ. ქარაზანიშვილი.

მივმართე პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს აკაკი ზოიძეს განცხადებებით: №211628 — 10.11.2017 წ.; №2151 — 13.02.2018 წ. იგივე დოკუმენტაციით და გაზეთიდან ჩემი წერილებით, მივმართე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ირმა ინაშვილს წერილებით და იგივე დოკუმენტაციით... მადლობელი ვარ, რომ აკაკი ზოიძემ და ირმა ინაშვილმა მომაქციეს ყურადღება, როგორც დაზარალებულს, დამწუხრებულ ადამიანს და მისწერეს რამდენჯერმე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, სერგეენკოს, ადამიანური წესით მოთხოვნა: **„გთხოვთ ოპერატიულად გამოიკვლიოთ აღნიშნული საქმე. პასუხი გვაცნობეთ და აცნობეთ განმცხადებელს“**. ცხადია, ჯანმრთელობის სამინისტრომ დრო გაწელა! ასეა, დრო გაჰყავთ, რომ დაზარალებულის ოჯახს დაავიწყოს, გული გაუგრილოს და აი ასე დრო გაიყვანეს, ორი წელი და შვიდი თვე და შემდეგ მომწერეს წერილი №02/55084, 22 ოქტომბერი 2019 წ., რომელსაც პაციენტ ჯ. ქარაზანიშვილისთვის საუნივერსიტეტო კლინიკაში გაწეული სამედიცინო დახმარების დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები“ უწოდეს. სინამდვილეში აღიარეს უცოდინარი „ექიმების“ მიერ ჩადენილი სასიკვდილო შეცდომა — დანაშაულებანი და მონათლეს, როგორც „გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები“ რბილად. სირცხვილით როგორ წერენ „გავუწიეთ სამედიცინო დახმარება“, ეს იყო გაწეული „სამედიცინო დახმარება“? თუ სასიკვდილო დახმარება, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. ამხილეს მხოლოდ ორი „ქირურგი“ ზვიად ძნელაძე და კაკო გუგულაშვილი, მესამე ლ. თოხაძე არ ვიცი, ვინ არის.



**ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სააგენტოს მიერ, ჯ. ქარაზანიშვილის სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლენილი, როგორც მათ მსუბუქად უწოდეს „დარღვევა-ნაკლოვანებები“, წერილი №02/55084-22 ოქტომბერი 2019 წ., იბეჭდება შემოკლებით, ექიმები: აკაკი გუგულაშვილი (სერთიფიკატი „ზოგადი ქირურგია“), მკურნალი ექიმი/ოპერატორი ზვიად ძნელაძე (სერთიფიკატი „ზოგადი ქირურგია“), განყოფილების ხელმძღვანელი ლეონიდე თოხაძე (სერთიფიკატი „ზოგადი ქირურგია“):**

— 24.05.17 წ. 18.00სთ ექ. ა. გუგულაშვილის ჩანაწერში დადგენილი დიაგნოზის (მწვავე კალკულულოზური ქოლეცისტიტი, პერიტონიტი“) მიუხედავად, არ აღინიშნება დანიშნულება და შემდგომი მართვის რეკომენდაცია;

— 24.05.17 წ. ლაბორატორიული (INR — 1.31, პროთრომბინის დრო — 16.3 წმ, პროთრომბინული აქტივობა — 66%), კლინიკური (T/A-180/90-150/90 mmHg) და ანამნეზური (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, არტერიული ჰიპერტენზია) მონაცემების მიუხედავად, მკურნალობის პერიოდში (24.07.17 წ. — 29.07.17 წ.) ექ. ა. გუგულაშვილის ჩანაწერებსა და „ექიმის დანიშნულების ფურცელში“ (ხელმოწერილია ექ. ა. გუგულაშვილის მიერ). არ ფიგურირებს თრომბოემბოლიის პრევენციის ღონისძიებები / მკურნალობა; არ ჩატარდა კარდიოლოგის კონსულტაცია; არ იქნა გათვალისწინებული „ვენური თრომბოემბოლიის პრევენცია და მკურნალობა“.

— სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელზე გრაფაში „მკურნალი ექიმი“ დასტურდება ექიმი ზ. ძნელაძე, თუმცა, მკურნალობის პერიოდში (24.05.17 წ — 29.05.17 წ.) სამედიცინო ბარათში არ ჩანს მკურნალი ექიმის ზ. ძნელაძის, აგრეთვე, განყოფილების ხელმძღვანელის (ლ. თოხაძე) კონსულტაციის/შემოვლის ამსახველი ჩანაწერები;

— 24.05.17 წ. ლაბორატორიული მონაცემების (ლეიკოციტოზი, ნეიტროფილოზი, კოაგულოპათია, ღვიძლის ფერმენტების მაღალი აქტივობა) მიუხედავად, პაციენტი გაწერილ იქნა ისე, რომ არ ჩატარდა „ვენური თრომბოემბოლიის პრევენცია და მკურნალობა“ პროტოკოლით, ჰიპერკოაგულაციური მდგომარეობის თრომბოზის და სისხლდენის რისკის შეფასების მიზნით მოწოდებული საკონტროლო ლაბორატორიული (აუცილებელია თრომბოციტების ფუნქციონალური ანალიზი) კვლევები;

— 25.07.17 წ. 15:00 სთ, ექ. ა. გუგულაშვილის ჩანაწერი (კონსულტაცია ოპერატორთან ერთად) არ არის ხელმოწერილი ექ. ზ. ძნელაძის მიერ; არ ფიქსირდება ობიექტური გასინჯვის მონაცემები, დრენაჟიდან გამონადენის თვისობრივი აღწერილობა.

— 24.05.17 წ. არ არის შევსებული „პაციენტის ანესთეზიის და ოპერაციისთვის მომზადების ფურცელი“ (ექიმი ლ. სუხიშვილი).

— ექ. ნ. კვაჭაძის მიერ, წერილობითი ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე მიღებულია 724.05.17 წ. 16:30 სთ, 02.06.17 სთ) პაციენტის მეუღლისგან, რითაც დაირღვა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 45, პუნქტი 1) მოთხოვნები;

— 24.05.17 წ. 16:30 სთ, ექ. ნ. კვაჭაძის ჩანაწერში არ ფიქსირდება ობიექტური (მათ შორის მუცლის) გასინჯვის მონაცემები;

— ფიზიკური მონაცემების რეგისტრაციის ფურცელში“ (ფორმა № IV-300-1/ა) არ დასტურდება მიღებული სითხის, გამოყოფილი შარდის, დრენაჟიდან გამოყოფილი სითხის რაოდენობა, სუნთქვის სიხშირე, ინფორმაცია დეფეკაციის თაობაზე;

დარღვეულია „სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის № 108/6 ბრძანებით (19.03.2009 წ.) განსაზღვრული, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი:

რეანიმაციაში მკურნალობის (02.06.17 წ. 21:15 სთ-06.06.17 სთ 19:30 სთ) პერიოდში, არ ფიქსირდება კარდიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელის მამუკა ქობალავას კონსულტაციის —შემოვლის ამსახველი ჩანაწერები.

რეანიმაციაში არ ჩატარდა 06.06.17 წ. 09:00 სთ ექ. ჭიპაშვილის მიერ რეკომენდებული გულ-მკერდის რენტგენოგრაფია, 19:30, სთ ექ. ა. ჭიპაშვილის ჩანაწერში არ დასტურდება ობიექტური გასინჯვის მონაცემები. და სხვა დაშვებული შეცდომები, რომლებიც არ გაითვალისწინეს.

შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ, დაისვა საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე, საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ 74-ე მუხლის შესაბამისად, შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ ექიმების: აკაკი გუგულაშვილის (სერთიფიკატი „ზოგადი ქირურგია“) ზვიად ძნელაძის (სერთიფიკატი „ზოგადი ქირურგია“), და ლეონიდე თოხაძის (სერთიფიკატი „ზოგადი ქირურგია“) პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე.

* * *

პაციენტ ჯ. ქარაზანიშვილის სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ გავიდა რვა თვე. დამნაშავე „ექიმები“ ყველა თავის ადგილას მუშაობს და ვიღას ახსოვს მათი მსხვერპლი ჯ. ქარაზანიშვილი, ვინ „დააჭრა ყურებზე ხახვი“ მკვლელ „ექიმებს“? არავინ. ისევ მივმართე პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, დიმიტრი ხუნდაძეს, წერილი №1-10670/20-30.07.2020 წ. თხოვნით, იქნებ მისთვის ეცნობებინათ, თუ რა „განაჩენი“ გამოუტანეს მკვლელ „ექიმებს“. მართლაც, სასწრაფოდ მისწერა ჯანმრთელობის სამინისტრომ დიმიტრი ხუნდაძეს პასუხი №02/10009-05 აგვისტო 2020 წ. (30 ივნისს კი ჰქონიათ განხილული), რომელსაც აქვე გთავაზობთ:

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის მომართვისა (04.08.2020 წ. №81959) და მასზე თანდართული, თქვენი განცხადების (30.07.2020 წ. №1-1670/20) პასუხად, გაცნობებთ, რომ პაციენტ ჯემალ ქარაზანიშვილისათვის, შპს „აკად. ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში“ გაწეული (24.05.17 წ. — 29.05.17წ, 02.06.17 წ-06.06.17წ) სამედიცინო დახმარების საკითხი, 2020 წლის 30 ივნისს, განხილულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომაზე. პროფესიული განვითარების საბჭოს გადაწყვეტილებით, ექიმ **აკაკი გუგულაშვილს** (სერთიფიკატი „ზოგადი ქირურგია“) მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“ და დაევალა 2 თვის ხანგრძლივობით შესაბამისი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა; ექიმ **ზვიად ძნელაძეს** (სერთიფიკატი „ზოგადი ქირურგია“) მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“ და დაევალა 2 თვის ხანგრძლივობით შესაბამისი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა; ექიმ **ლეონიდე თოხაძეს** (სერთიფიკატი „ზოგადი ქირურგია“) მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“ და დაევალა 2 თვის ხანგრძლივობით შესაბამისი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა.

**აი, ასე „დასაჯა“ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უდანაშაულო ადამიანის მკვლელობისთვის ორი „ქირურგი“ ზვიად ძნელაძე და კაკო გუგულაშვილი (ლ. თოხაძე არ მინახავს). დანარჩენი დამნაშავე მკვლელები არ დასაჯეს. ასე აიგდო მასხრად ადამიანის სიცოცხლე ჯანდაცვის სამინისტრომ, ხალხის მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესმა ორგანომ. ეტყობა, ისე შეეჩვია მათი გული და თვალი კაცის კვლას, რომ არაფრად თვლიან, გაუფასურდა მათ თვალში სიკვდილი, „იყო და არა იყო რა“. საავადმყოფოს ეზოებში კი აშენებული აქვთ წმინდანების სახელობის ეკლესიები, საავადმყოფოების კედლები სავსეა წმინდანების ხატებით. ეს ყველაფერი მოჩვენებითია და არც კი იციან ქრისტეს ანდერძი: „არა კაც კლა“! მე კი გავიარე ტანჯვა. ამდენი ვწერე, უთვალავჯერ ახლიდან გახსენება იმისა, რასაც ვუყურე და რაც გონებაში და თვალწინ მიდგას მუდამ. გული, ნერვები, თავი ავიტკიე უფრო მეტად, მაგრამ ცოდო-მადლი? რა მექნა, არ მივატოვე ადამიანი, ჯემალ ქარაზანიშვილი, არ მივაფუჩეჩე, ვითომ მისი მკვლელობა და როგორც შემეძლო, ისე ვუპატრონე მარტოხელა ქალმა უდანაშაულო კაცს, რომელიც უცოდინარი „ექიმების“ მიუტევებელმა შეცდომებმა იმსხვერპლეს!..**

**ნატო ქარაზანიშვილი**

23.11.2020 წ.

## განუმეორებელი

# ფეხბურთი დაობლებულა...

**ჩემთვის ფეხბურთი დასრულდაო – იტყოდა ბევრი, როცა დიეგო მარადონას გარდაცვალების ამბავს შეიტყობდა.**

მართლაც, 60 წლის მეგავარსკვლავი მხოლოდ სპორტმა კი არა, სამყარომ დაკარგა, რამეთუ მისნაირები ერთეულები თუ იბადებიან, უფრო სწორად – მარადონა აღარასოდეს განმეორდება.

არგენტინაში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა, ხოლო ნეაპოლის „სან პაოლოს“ სტადიონს, სადაც ლეგენდამ ეპოქა შექმნა, მისივე სახელი უნდა მიენიჭოს.

რა თქმა უნდა, ეს დიდი დაფასებაა, მაგრამ იმ წვლილთან შედარებით, რაც სიღარიბეში გაზრდილმა გენიოსმა საყვარელი სახეობის განვითარებაში შეიტანა, თითქმის არაფერია.

როგორი კონტრასტული ფაქტით ვაცილებთ ჯადოქარს: ჩემპიონთა ლიგის შეხვედრების მონაწილენი თაობათა



კერპის ხსოვნას პატივს ცარიელი ტრიბუნების თანხლებით მიაგებდნენ, არადა იგი, უპირველესად, გულშემატკივართათვის დგამდა სპექტაკლებს და ქმნიდა შედევრებს.

მსგავსი ორსახოვნება თითქოს დიეგოს კარიერის მუდმივი თანმდევი გახლდათ: რამდენადაც ხშირად იქცეოდა სკანდალურად და არ იკლებდა არაფერს, იმდენად მეტი შეჰქონდა კაცობრიობის საგანძურში. ალბათ, ამითაც განსხვავდებოდა რიგით მოკვდავთაგან.

მგონი, აქამდე თვითნაბადი ტალანტის კოლეგათაგან ღმერთი არავისთვის უწოდებიათ. ჰოდა, ფეხბურთის მეფე პელე მისი მარადიული მოქიშპის უფალთან მკრეხელურ გატოლებასაც მოესწრო!

**იმიტომ, რომ ის დიეგო მარადონაა!**

**გია პლატონიშვილი**

## რვა ერი

# ბექას სოლო

**მართალია, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები „შემოდგომის ერთა თასზე“ სწავლა მოსწავლეთას სტატუსით თამაშობს და ჯერ ქულაც არ მოუპოვებია, მაგრამ მეორე ტურის სიმბოლურ ნაკრებში წარმომადგენელი მაინც გვყავს.**

საუბარია „ბორჯღალოსანთა“ 8 ნომერ **ბექა გორგაძეზე,** რომელიც საკუთარ პოზიციაზე გამოცემა „პლანეტ რაგბიმ“ გამოარჩია და თავის არჩევანს ასეთი განმარტება დაურთო თან:

**„მართალია, ამავე ამპლუაში უელსელი აარონ ვეინრაითი და ინგლისელი ბილი ვუინპოლაც ასევე შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ, მაგრამ გადამწყვეტი აღმოჩნდა ქართველი მორაგბის მიერ ბურთის 11 წაღებით მოგებული 74 მეტრი და მის აქტივში დაფიქსირებული 13 ბოჭვა“.**

რვა ერის მეორე ტურის სიმბოლურში ნახევარი – 8 მოთამაშე ჰყავს ინგლისს, ხოლო დანარჩენებს ასეთი კვოტა აქვთ: საფრანგეთი – 3, უელსი – 2, შოტლანდია და საქართველო – თითო-თითო.

ხვალ ჯგუფური რაუნდის დასკვნით შეხვედრას „ბორჯღალოსნები“ დუბლინის პოპულარულ „ავივა სთედიუმზე“ ირლანდიასთან გამართავენ, ვისთანაც აქამდე ოთხივე მატჩი წააგეს.

**აღნიშნული ბრძოლის პირდაპირი რეპორტაჟი „ტელეიმედზე“ 18 საათიდან დაიწყება.**

**კობა კობახიძე**



## ევრობასკეტი




# ესღა გვაკლდა

**უკვე გაუწყეთ, რომ ფინეთში ევრობასკეტის შესარჩევი ეტაპის მორიგ რაუნდში საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით ჩასული საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერობა თორნიკე შენგელიას, გიორგი შერმადინსა და თად მაკფადენს უნდა ეტვირთათ, მაგრამ საქმეში კორონავირუსი ჩაერია და ჩვენი გუნდის ნატურალიზებული ამერიკელი გამთამაშებელი პირველ კოვიდტესტზე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ვარჯიშიდანვე პირდაპირ კარანტინში აღმოჩნდა. მართალია, განმეორებითმა ტესტმა უარყოფითი შედეგი მოგვცა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც უცნობია.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ჯვაროსნებს“ მისსავე პოზიციაზე მოთამაშე გიორგი ცინცაძე და რატი ანდრონიკაშვილი აკლიათ, ადვილი სავარაუდოა, პარტნიორთა იერიშების გაძღოლის მთელი სიმძიმე გუნდში ოთხწლიანი პაუზის შემდეგ მიწვეულ ლუკა ზაქრაძესა და პირველად გამოძახებულ დებიუტანტ გივი ბაქრაძეს დააწვებათ, რომელსაც, სხვათა შორის, ზურგს გარკვეული პერიოდის განმავლობაში სწორედ სუომიში ლეგიონერობაც უმაგრებს. აღსანიშნავია, რომ შენგელიამ ფინეთში ჩასვლამდე ცსკას მიერ ევროლიგაში მადრიდის „რეალთან“ მოგებულ მძაფრ ბრძოლაში გაიბრწყინა – 74:73 (28 წუთში 15 ქულა და 7 მოხსნა).

ისე, თუ ძალიან გაგვიჭირდა, ილიას ზუროსს პარკეტზე თავისი ერთ-ერთი თანაშემწის – ანატოლი ბოისას შეშვებაც შეუძლია, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ოპტიმალური კონდიციები. ეს, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით.

**მასპინძლებთან დღევანდელი მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი I არხზე 21 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ლეგიონერი

# ნდობაც მოვა

**საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა ლიდერი გიორგი ცხოვრებაძე კარიერას კონტინენტის ერთ-ერთ გრანდ საფრანგეთში აგრძელებს და თანდათან უშინაურდება როგორც იქაურ პირველ დივიზიონს, ისე ევროპა ლიგას.**

ამ დღეებში ჩვენებური ლეგიონერის კლუბ „მონპელიეს“ ძალიან მძიმე ბრძოლა გადახდა თავს ეროვნული ჩემპიონატის აუტსაიდერ „ტრემბლესთან“ გასვლით შეხვედრაში, რომელიც 31:30 მოიგო, არადა, იყო მომენტი, როცა პირველ ტაიმში მასპინძლები ერთბაშად 5 ბურთით დაწინაურდნენ – 15:10.

ეტყობა, ამანაც განაპირობა, რომ გუნდის მწვრთნელებმა „ჯვაროსანს“ ნდობა არ გამოუცხადეს და მთელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

**ლიდერთა ჯგუფი:** „პარი სენ-ჟერმენი“ – 16, „ლიმოჟი“ – 11, „მონპელიე“ – 10, „ნანტი“ – 9 ქულა.

**გუშინ ევროპა ლიგაზე გიორგიმ „ბეშიქთაშს“ ორი გოლი გაუტანა (40:16).**

**გიორგი შოთაძე**



## ჩემპიონთა ლიგა

# ექვსი უკვე გაირკვა

**მეორე წრის სტარტმა გამოავლინა ის ექვსეული, რომელმაც ვადამდე მოიპოვა საფეხბურთო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ პლეი-ოფში თამაშის უფლება.**

ესენი არიან „ბარსელონა“, „იუვენტუსი“, „ჩელსი“, „სევილია“, „ბაიერნი“,და „სიტი“, „პორტუ“ კი იქ ჯერჯერობით ცალი ფეხითაა შესული.

გაუწყებთ ჯგუფური რაუნდის მეოთხე ტურის შეხვედრათა შედეგებს:

**„ა“ ჯგუფი.** „ბაიერნი“ – „ზალცბურგი“ 3:1, „ატლეტიკო“ – „ლოკომოტივი“ 0:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ბაიერნი“ – 12, „ატლეტიკო“ – 5, „ლოკომოტივი“ – 3, „ზალცბურგი“ – 1 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „ინტერი “ – „რეალი“ 0:2, „გლადბახი“ – „შახტარი“ 4:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „გლადბახი“ – 8, „რეალი“ – 7, „შახტარი“ – 4, „ინტერი“ – 2 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“ – „სიტი“ 0:1, „მარსელი“ – „პორტუ“ 0:2.




**სატურნირო მდგომარეობა:** „სიტი“ – 12, „პორტუ“ – 9, „ოლიმპიაკოსი“ – 3, „მარსელი“ – 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „ლივერპული“ – „ატალანტა“ 0:2, „აიაქსი“ – „მიდტიულანდი“ 3:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ლივერპული“ – 9, „აიაქსი“, „ატალანტა“ – 7-7, „მიდტიულანდი“ – 0 ქულა.

**მანუჩარ გიორგაძე**

## გინესის წიგნი

# ფრანგის რეკორდები

**32 წლის ლეგენდარულმა ფრანგმა ბიატლონისტმა მარტენ ფურკადმა შთამბეჭდავი სპორტული კარიერა შარშან ექვსგზის ოლიმპიური და ცამეტგზის მსოფლიოს ჩემპიონის**




**რანგში დაასრულა, ასე რომ, სავსებით ლოგიკურად, იგი ამ დღეებში გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს შემდეგი დამსახურებებისთვის:**

ყველაზე მეტი გამარჯვება მსოფლიო თასის გათამაშების პირად ჩათვლაში – 7; მოგებათა ყველაზე გრძელი სერია მსოფლიო თასის გათამაშების საერთო ჩათვლაში – 7 და ყველაზე მეტი მოგებული „ბროლის გლობუსი“ – 33 (7 „დიდი“ და 26 „მცირე“).

**ბეჟან დოლიძე**

## სანთელი

# ბესო ჭინჭარაული



ჩვენ 1981 წელს ჩავირიცხეთ თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ნეტავ იმ დროს!

მართალია, დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები ვიყავით, მაგრამ თითოეულ სემესტრში ლექციებისთვის გამოყოფილ ათიოდე დღეს მაქსიმალურად ვიყენებდით ერთმანეთისთვის გულის გადასაშლელად და დაუვიწყარ მოგონებათა ასაკინძად.

ბესო და ელისო მაშინ უკვე დაოჯახებულნი იყვნენ და მათი საბურთალოზე ნაქირავები ერთოთახიანი კერია ისეთი მიზიდულობის ძალას ფლობდა, სადაც თავს საკუთარ მინდორზე ვგრძნობდით და ყოველთვის მიგვიხაროდა. დიახ, ჩვენს ძვირფას მასპინძელთა დიდი დამსახურებაა, ათწლეულების განმავლობაში რომ ვინარჩუნებთ შეუბღალავ ურთიერთობას.

ახალგაზრდა წყვილს უბედური შემთხვევის შედეგად საყვარელი ვაჟკაცის ჯანმრთელობის შერყევამ სერიოზული განსაცდელი მოუვლინა, რომელსაც ღირსეულად უმკლავდებოდნენ, მაგრამ, ეტყობა, არც ჩვენი საამაყო მეგობრის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რესურსი აღმოჩნდა ამოუწურავი.

სხვაგვარად ძნელია, ახსნა კაცმა ის შოკისმომგვრელი ამბავი, ამ დღეებში რომ შევიტყვეთ — კეთილშობილების, მოკრძალებულობის, ერთგულებისა და საიმედოობის განსახიერება ბესო ჭინჭარაული ამიერიდან უკვდავების ბინადარია.

ნათელი და სანთელი, ძმაო!

**ჯგუფელთა სახელით: გელა შაიშმელაშვილი, კოტე უზირია, გოჩა კავილაძე, გია პლატონიშვილი.**

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

## ბესო ჭინჭარაული

თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, მეგობრებს და კოლეგებს.

## ხსოვნა



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე და ვერაგი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ყოფილი მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ღირსეული მამულიშვილი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი

## გიორგი ნიკოლეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აკად. კ.ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ექიმ მეან-გინეკოლოგს ნაზი ლექვთაძეს და მედიცინის დოქტორს მაგდა თორთლაძეს გარდაეცვალათ მეუღლე და მამა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## ლევან ალექსანდრეს ძე თორთლაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აკად. კ.ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ექიმი იმუნოლოგ-ვირუსოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## ბორის კორსანტია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აკად. კ.ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ღვაწლმოსილ ექიმ მეან-გინეკოლოგს, მედიცინის დოქტორს, ქალბატონ მაგული ბაქრაძეს გარდაეცვალა ძმა

## კოტე ბაქრაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



## მშენებლობა, ნაგებობათა ხანგამძლეობა, მასალათა მდგრადობა

# „ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“!..

**თანამედროვე ძირითადი სამშენებლო მასალებია ბეტონი და რკინაბეტონი, რომელთა შემადგენელი კომპონენტები გახლავთ ცემენტი, შემავსებლები (ქვიშა, ხრეში, ღორღი) და არმატურა (ლითონი). ყოველ მათგანს სათანადო სტანდარტების გათვალისწინებით და გარემო პირობების ზემოქმედების შესაბამისად, მოეთხოვება მდგრადობა და ხანგამძლეობა შემდეგი ფაქტორების მიმართ — სინესტე, წყალი, ტემპერატურა, ხანძარი, ცეცხლი, ყინვა, აგრესიული გრუნტი და წყალი, ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური რეაქციები, წნევა, გაიშვიათება და მრავალი სხვა.**

ცალკეული მათგანი ან რამდენიმე ერთად, დიდ და ძლიერ გავლენას ახდენს შენობა-ნაგებობათა მდგრადობასა და ხანგრძლივობაზე, ამიტომ ყოველ შემადგენელ კომპონენტზე არსებობს მრავალი სტანდარტი, რომელთა ცოდნა და გათვალისწინება აუცილებელია მასალების მწარმოებელთა, პროექტანტთა და მშენებელთათვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა მძლავრი ჰიდროტექნიკური ნაგებობების, მაღალი შენობების ფუნდამენტის, გვირაბების, მიწისქვეშა და წყალქვეშა თერმორადიაციული სამარხების, საწყობების და ენერგეტიკული ობიექტების ბეტონის კომპონენტების მახასიათებლების სწორი ანალიზი და შერჩევა.

ასე მაგალითად, ენგურჰესის მაღლივი (270მ) კაშხალის მშენებლობისთვის გამოყენებული იყო სპეციალური დაბალტუტეშემცველი და დაბალეგზოთერმული პორტლანდცემენტი. ხოლო თავად უნიკალური ჰესი დაპროექტებული და აშენებული იყო ქართველი სპეციალისტების მიერ.

ტუტეების შეზღუდვა ცემენტში გამოწვეული იყო ოპალშემცველი ადგილობრივი ბეტონის შემვსების გამოყენების გამო (სტენტონის ქიმიური რეაქციის და წარმოქმნილი ნაერთის უარყოფითი შედეგების ხანგძლივი ზემოქმედების შესაძლებლობის სისქის გამო, რაც ნაგებობაში ხელს შეუწყობს ბზარების წარმოქმნას.

აღნიშნული მსგავსი და მრავალი სხვა მიზეზის გამო ბეტონის შემვსებ მასალებში იზღუდება და იკრძალება მრავალი ნაერთის არსებობა, ესენია (უმეტესად): ოპალშემცველი მორფული აქტიური ჰიდროქსიდები, სულფატები, სულფიდები, ხსნადი მარილები და კარბონატები, მინისებური ქანები, ორგანული და ადვილაალებადი მასალები, თიხა, ქარსი, გოგირდი, რკინის ოქსიდები, ტორფი და სხვა, რის გამოც არასასურველია პერლიტის, ობსიდიანის, ანდეზიტის, პირიტშემცველი ქანების (და ნარჩენები), ფილაქების, ცეოლიტების, აზბესტის, აპატიტის, ნეფილინის, ფოსფოლრატის, გრაფიტის, ნახშირის, ქალცედონის და სხვათა გამოყენება ბეტონის შემვსებ მასალებად. ასევე სახიფათოა კირქვის და დოლომიტის გამოყენება მჟავურ წყლებში და ხანძარსაშიშ ნაგებობებში.

გარდა შემვსები მასალებისა, აგრესიულად ითვლება ზოგიერთი გრუნტი და მრავალი სახეობის გრუნტის წყალი.

გამოყენების სფეროს შესაბამისად, არსებობს რამდენიმე ათეული ტიპის სხვადასხვა ქიმიურ-მინერალოგიური და ნივთიერი შედგენილობის სტანდარტული ცემენტი, კერძოდ, პორტლანდცემენტი, წიდა-პორტლანდცემენტი, სულფატმდგრადი, სატამპონაჟე, ცეცხლგამძლე, მჟავაგამძლე, თეთრი და ფერადი, გზების მშენებლობის, წყალგაუმტარი, გაფართოებადი, დამძაბავი, ზესწრაფმაგრებადი, პოლიმერ-ცემენტი, ბიოცემენტი, ჰიდროტექნიკური, უსაფრთხოდ დამანგრეველი, დარტყმამდგრადი და სხვა.

საქართველოს ყველა რეგიონის თვით გრუნტის და გრუნტის წყლის ქიმიურ-მინერალოგიური შედგენილობა სხვადასხვაა და ისინი არაერთგვაროვნად მოქმედებენ ცემენტის, შემვსების და ლითონის კოროზიაზე, რაც აუცილებელ შესწავლას მოითხოვს. მინერალიზებული წყლები იწვევენ ბეტონისა და ლითონის კოროზიას, რაც ამცირებს შენობა-ნაგებობათა მდგრადობას და ხანგამძლეობას.

ცემენტის და ბეტონის მაღალი მარკა კოროზიულ გარემოში ხშირად არ არის მაჩვენებელი შენობა-ნაგებობათა მდგრადობისა და ხანგამძლეობისა, ზოგჯერ კი, პირიქითაც ხდება, რადგან სწრაფმაგრებადი და მაღალი მარკის მომცემი ცემენტის მინერალები ნაკლებად მდგრადები არიან აგრესიული გრუნტის და ზღვის წყაროებში, ვიდრე ნელმაგრებადი და დაბალი მარკის მომცემი მინერალები.

სილიკატების ტექნოლოგიას მიეკუთვნება ცემენტის, მინის, კერამიკის, ცეცხლგამძლე, თბო და ბგერასაიზოლაციო მასალების ტექნოლოგია, რომელთაც ბიუჯეტში შეაქვთ დაახლოებით 20 მილიონი დოლარი.

არსებული ცემენტების ბაზაზე შესაძლებელია მაღალი მარკის (700-1000) ბეტონის მიღება თუ გამოყენებული იქნება კლდოვანი ინერტული სილიკატური შემვსები ბეტონის მარკაზე ორჯერ მეტი სიმტკიცით კუმშვაზე. ასეთი შემვსების მოპოვება ხელს შეუწყობს მთის რეგიონების განვითარებას. მთის მონგრევა შესაძლებელია არაფეთქებადი, უსაფრთხოდ მომანგრეველი მასალებით.

სტუ-ს კათედრაზე (მიმართულებაზე) მიღებული სპეცცემენტები გამოყენებულია: მეტროპოლიტენებში, ენგურჰესზე, ათონის მღვიმეში, „თბილისის წყალში“, გვირაბებში, შახტებში, მელიორაციის სისტემებში, მრავალი ბეტონის და რკინაბეტონის ნაკეთობების მისაღებად. ეს სპეცცემენტებია: წყალგაუმტარი, ზესწრაფმაგრებადი (მაღალი სიმტკიცით 1-2 საათში), გაფართოებადი, დამძაბავი, არაფეთქებადი — უსაფრთხოდ დამანგრეველი, დარტყმამდგრადი და სხვა.

სილიციუმის დიოქსიდის და სილიკატების მრავალი მოდიფიკაცია და სხვადასხვა სტრუქტურა არსებობს, რის გამოც ისინი და ელემენტი სილიციუმი მრავალ დარგში სხვადასხვა მიზნით გამოიყენებიან, რომელთაგან აღსანიშნავია მრეწველობა და ენერგეტიკა (სილიკოთერმია), ელექტრონიკა, ლაზერული ტექნიკა, ბოჭკოვანი ოპტიკა, მედიცინა, პიეზო — და პიროელექტრული თვისებები, მონოკრისტალები და სილიციუმორგანული ნივთიერებები იძლევიან ახალი მიმართულების განვითარების საშუალებას.

აღნიშნულის გამო მშენებლობის განვითარებასთან ერთად საჭიროა ადგილობრივი რესურსების, ნაგებობათა მდგრადობის, სილიციუმის და სილიკატების ფიზიკო-ქიმიური კვლევის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის დაარსება მძლავრი საბიუჯეტო დაფინანსებით, რომელშიც ძირითადად ადგილს დაიკავებს ახალგაზრდობა. ეს ხელს შეუწყობს ერის განათლებისა და მეცნიერების განვითარებას საერთაშორისო დონეზე.



**თამაზ გაბაძე,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულების (კათედრის) ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**





# მარიამ გორჯესტანი შეგვემატა!

**საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბებია გახდა. ამის შესახებ მან Instagram-ზე დაწერა. „დაიბადა მარიამ გუგუშვილი (გორჯესტანი)“, — წერს საქართველოს პრეზიდენტი. მარიამი პრეზიდენტის ვაჟის თეიმურაზ გორჯესტანის შვილია.**

გულწრფელად ვულოცავთ გუგუშვილებს და ზურაბიშვილებს მარიამის დაბადებას!

# საბავშვო ევროვიზიაზე ხმა მიეცით სანდრა გადელიას!

**2020 წლის საბავშვო ევროვიზიაზე ქართველი კონკურსანტისთვის ონლაინ ხმის მიცემა 27 ნოემბერს, 23:00 საათიდან დაიწყო.**

ევროფესტივალი 29 ნოემბერს გაიმართება. წელს საქართველოს პირველი არხის პროექტ „რანინას“ გამარჯვებული სანდრა გადელია წარადგენს, სიმღერით „შენ მარტო არ ხარ“.

საქართველოს წარმომადგენლისთვის ხმის მიცემა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით 29 ნოემბრამდე. ხმის მიცემის პროცედურის გასაცნობად იხილეთ ვიდეორგოლი: https://bit.ly/2KygpN3.




ევროვიზიის კონკურსის პირდაპირ ტრანსლაციას მაყურებელი საქართველოს პირველი არხის ეთერში, 29 ნოემბერს, 20:00 საათზე იხილავს.

საქართველო საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული სამჯერ გახდა და ამ კონკურსში გამარჯვებულ ქვეყნებს შორის რეკორდი დაამყარა — მსგავსი შედეგი ამ დრომდე არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია. საქართველომ გამარჯვება 2008, 2011 და 2016 წლებში მოიპოვა. 2017 წელს კი საბავშვო ევროვიზიის სიმღერის რიგით მე-15 კონკურსს თბილისმა უმასპინძლა.

# ნახტომიც ამას ჰქვია

**20 წლის ჩრდილოკორეელი ტანმოვარჯიშე ორი კორეის გამყოფ დემილიტარიზებული ზონის 3-მეტრიან ღობეს გადაახტა და სამხრეთ კორეაში გაიქცა.**

დემილიტარიზებული ზონა კორეის ნახევარკუნძულის მთელს სიგანეზეა გადაჭიმული. მისი სიგანე 4 კილომეტრია და ტერიტორია დანაღმულია. აქ ეკლიანი მავთულხლართებიცაა და ადგილზე ორივე კორეის სამხედროები პატრულირებენ.

ტანმოვარჯიშე ტერიტორიაზე პირველად 2 ნოემბერს შენიშნეს. ერთი დღის შემდეგ კი ის სამხრეთით მდებარე მავთულხლართების გალავანზე დაინახეს. პოლიციამ ის დააკავა.

უსაფრთხოების ძალებმა დაკავებული მამაკაცი ღობეზე ორჯერ გადაახტუნეს, რადგან მის სიმართლეში დარწმუნებულიყვნენ.

მომხდარმა სამხრეთ კორეის სამხედრო უსაფრთხოების კრიტიკა გამოიწვია. სამხედროები ცდილობენ, დაადგინონ, როგორ შეძლო მამაკაცმა 3-მეტრიანი ღობის გადალახვა ისე, რომ სიგნალიზაცია არ ჩაირთო.

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია:** №GE19TB7601536020100009.

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

**სულიერება**

# ქრისტეშობის მარხვის დასაწყისი – 28 ნოემბრიდან

**28 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იწყებს ქრისტეშობის მარხვას.**

...საინტერესო ცნობები გვხვდება X საუკუნის კრების საეკლესიო ოქმებში. მანამდეც, მე-4 საუკუნიდან არის ცნობები დაცული ქრისტესშობის მარხვის შესახებ.

საგულისხმოა ისიც, რომ შობის მარხვის დღეები 25 დეკემბრამდე, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, თევზით ხსნილია.

* * *




**29 ნოემბერს მათე მახარებლის ხსენების დღეა. მათე მახარებელი სულთმოფენობის დღესასწაულზე, უფლის სხვა მოციქულებთან ერთად, რჩეულ მოწაფეთა შორის იყო და მათთან ერთად სულიწმინდის მადლით აივსო. მათე მახარებელი ქადაგებდა ქრისტიანობას ბევრ შორეულ ქვეყანაში. მან სახარებაში ასახა ქრისტეს მიწიერი ცხოვრება და მისი სწავლება.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ებრაულ ენაზე დაწერილი მისი სახარება შემდგომში ბერძნულად გადაითარგმნა.

**გიული ლიპარტია**

# საშობაო და საახალწლო პერიოდი პანდემიისას ყველაზე სახიფათოა!



**„ჩვენს ქვეყანაში ათასობით ოჯახს სახლში მაგიდასთან ერთი სკამი მაინც აქვს თავისუფალი. ეს ცარიელი სკამი ეკუთვნით მათ, ვინც პანდემიის დროს კორონავირუსმა იმსხვერპლა.**

**პირდაპირ გეტყვით, მე არ მინდა მომავალ შობას უფრო მეტი ცარიელი სკამი იყოს ჩვენს მაგიდასთან და ეს მოხდეს იმის გამო, რომ დღეს არ გავაკეთეთ ის, რაც საჭიროა და ვერ შევაფასეთ სათანადოდ რისკები თუ საფრთხეები.**

**საშობაო და საახალწლო პერიოდი პანდემიისას ყველაზე სახიფათოა და ძალიან არ მინდა, რომ მეტი ტკივილი მიაყენოს ჩვენს თანამოქალაქეებს“,** — აღნიშნა ბელგიის პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე დე კრომ.

ბელგიის მთავრობის მეთაური საკანონმდებლო ორგანოში სიტყვით საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის წინ გამოვიდა.

**„მე არ მინდა 4 დღეში დავემშვიდობოთ იმ პროგრესს, რომელსაც 4 კვირაში შეზღუდვების დახმარებით მივაღწიეთ. ჩვენ დღეს თუ მივიღებთ არასწორ გადაწყვეტილებებს, ამის შედეგი უახლოეს მომავალში გვექნება და ის ადამიანებიც დაგვეღუპებიან, ვის სიცოცხლესაც შეზღუდვებით გადავარჩენდით“,** — აღნიშნა დე კრომ.

# ყოჩაღ, პაკისტანელებო!!!

**პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა უკვე ოფიციალურად მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც პედოფილებს ჩაუტარებენ ქიმიურ კასტრაციას. პრემიერის ბრძანებულების თანახმად, რომელსაც ხელი ორი დღის წინ მოეწერა, შეისწავლიან სექსუალური დანაშაულის საქმეებზე ბრალდებულ დამნაშავეებს.**



იმრან ხანის თქმით, პაკისტანში უნდა იყოს უზრუნველყოფილი უსაფრთხო გარემო მოქალაქეებისთვის. იგი აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა იქნება გამჭვირვალე და მკაცრი აღმსრულებელი აღნიშული კანონის მიმართ. მისი აზრით, ცვლილება კანონში გაზრდის ქალების როლს წესრიგის კონტროლში, აგრეთვე გაუმჯობესდება მოწმეთა უსაფრთხოებისა და დაცვის მექანიზმიც.

სექსუალური ძალადობა გავრცელებული პრობლემაა პაკისტანში- ღირსების მკვლელობის სახელით მამაკაცები ქორწინების კონსერვატიული დოგმების დარღვევის შემთხვევაში ყოველწლიურად 1000-მდე ქალს ხოცავენ.

ქიმიური კასტრაცია ითვალისწინებს ჰორმონული პრეპარატების მიღებას, რომლებიც ორგანიზმში ტესტოსტერონის გამომუშავება რამდენიმე თვით, წლით ან შესაძლოა მთელი ცხოვრების განმავლობაში სასქესო ორგანოს დისფუნქციას განაპირობებს, რაც იწვევს ერექციის არ ქონას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 1 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.3137; ევრო - 3.9466;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4248;
100 რუბლი - 4.3828; თურქული ლირა - 0.4195;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9492;
1000 სომხური დრამი - 6.4911.

**ამინდი 28 ნოემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -8, | დღე | +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -9, | დღე | +11 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე | +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე | +13 |
| თბილისი: | ღამე | 0, | დღე | +8 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge